

# ՇՐՋԱՆԱԿ:

|   |       |
|---|-------|
| Նախնորոգումը լայն   | 3     |
| Գիմարանի քիտրը Նախնորոգման Բանալը                                       | 4     |
| ՈՆԿԻՅՈՒ Նախնորոգման Ծրագրման Լայն Ընտրման                               | 5-7   |
| ՈՆԿԻՅՈՒ ԸՆԿՐՈՒ ՕՐՄԱՆ ԸՄԻՇԻՆ   | 8-11  |
| Նախնորոգման Նախնորոգման Ծրագրման Գիմարան                                | 12-14 |
| Շիտը հընայն   | 15    |
| Նախնորոգման Նախնորոգման Ծրագրման Նախնորոգման Ծրագրման, Նախնորոգման, ՎԻՄ | 16-17 |
| Wenn Träume wahr werden... beginnt die Arbeit erst!                     | 18-21 |
| Տի ՎՆՈՒՄ!   | 22-24 |
| Գրմի Նախնորոգման Ըս Գրմի ԸՄԻՇԻՆ   | 25-27 |
| Ծրագրման Ծրագրման   | 28-29 |
| Ճիտրման Ծրագրման  | 29    |

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლო

საქართველო

მინათ ჩემო ნაწილო ყვლინა,  
 ღვთაო მამიამ, მზეს ამ ქვეყნისა.  
 მკობო წმინდაო, მფარველო მინისა—  
 ყმველუ წანჯულ რის, მინას დაფითისა.  
 ვაი საქართველო გუდიან ნაწმეჭად,  
 ხოლო ქართველუბი მიდიან ვასლუჭად,  
 უდიან ცალკე და უდიან ნაწმეჭად,  
 იწნებ ტყვის აღამღებ, ვაი რომ ნაწმეჭად.  
 მაგამ საღლაც შოშით მოსჩანს ყლანწამი,  
 მადლოჭა ყვლო, აი საჩყამი!  
 რეყავს სამეჭიდან საყვლო ზამეჭი,  
 ქრისტე მოჭმეძანღება! გაყლეთ ყამეჭი!  
 იმედი ისახება და გული ახლღება,  
 რომ საქართველო მალე გამწმეწინღება,  
 საქართველოს და მალე განათღება,  
 ყავი დაყავღება, ქალი დაქალღება.

ლაშა ვიოლე

**GEORGISCHER VEREIN IN  
DEUTSCHLAND E.V.**  
Gemeinnütziger Verein



**გერმანიის ქართული  
სათვისტომო**  
საქველმოქმედო ორგანიზაცია

c/o Dr.-Ing. Leri Datashvili, Römerhofweg 51c, 85748 Garching b. München / E-Mail: info@satvistomo.de

საქართველოს ტელევიზიებით გავრცელებული შემზარავი კადრების ნახვამ, რომლებიც ასახავდა თუ როგორ ეპყრობიან ციხის მოხელენი უმწეო ადამიანებს, შეგვიძრა სულით ხორცამდე მთელი ქართველობა, და არა მარტო ქართველობა.

ყოველივე ის რაც ამ კადრებშია ასახული უამრავ კითხვას აჩენს, რომლებიც საჭიროებენ შესაბამის პასუხებსა და განმარტებებს: მაგალითისათვის, რატომ არ ექცეოდა სათანადო ყურადღება პენიტენციულ სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ აქამდე გავრცელებულ უამრავ ინფორმაციას? არის კი გავრცელებული ფაქტები ყველაზე ცუდი რაც კი ხდებოდა / ხდება საქართველოს ციხეებში?

გერმანიის ქართული სათვისტომო გამოხატავს უდიდეს პროტესტს ადამიანთა მიმართ უსაზიზღრესი ძალადობისა და მათი უფლებების ფეხქვეშ გათელვის ფაქტების გამო.

მოვითხოვთ, გამოვლენილ იქნან და კანონის სრული შესაბამისობით, უმკაცრესად იქნან დასჯილი ამ ფაქტების უკლებლივ ყველა მონაწილე, შემსრულებელი, მოსეირენი, გაჩუმებულად განხე მდგომნი, წამყრუებელი, დამკვეთნი, უმაღლესი პასუხისმგებელი პირნი, ამ ფაქტების თვეობით თუ წლობით დამმალავნი, რამეთუ იმ საზოგადოებას, სადაც ისინი შესაძლოა წევრებად ითვლებოდნენ, არავითარი მომავალი არ გააჩნია.

მოვითხოვთ, გამოძიებისა და სასამართლო პროცესები წარიმართოს გამჭვირვალედ, რათა თითოეულ მოქალაქეს მოგვეცეს საშუალება თავად გავაკეთოთ დასკვნები.

ამასთანავე, ძვირფასო ქართველებო, ყველას გთხოვთ გამოვიჩინოთ სიბრძნე და შევინარჩუნეთ სიმშვიდე, რათა ჩვენი ქვეყნის წინაშე აღმართული ყველა ბარიერი ღირსეულად გადავლახოთ.

**გერმანიის ქართული სათვისტომო**

### ინტერვიუ გერმანიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარესთან გაბონ ლერი დათაშვილთან

- ტელევიზიითა და ინტერნეტით გავრცელებულმა ვიდეო-მასალებმა, რომლებიც პატიმართა უფლებების შელახვის და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს ასახავს, შეძრა მთელი საქართველო. მას შემდეგ თითქმის ყოველ დღე პატიმრების წამების (უკვე არა მარტო გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაღებული) ახალ-ახალი კადრები და ინფორმაცია ვრცელდება. ბატონო ლერი, რა კითხვები გებადებათ პირადად თქვენ მათი ნახვისას?

- პირველ რიგში მინდა გამოვხატო ჩემი უკიდურესი წუხილი იმის შესახებ, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ტელევიზიებით ვიხილეთ: უკიდურესად შეურაცხყოფილი ვარ როგორც ერთი ჩვეულებრივი ქართველი, როგორც სამშობლოს პატრიოტი, მისი წარმატებული განვითარების, ერთიანობის, მთლიანობისა და შეუქცევადი თავისუფლების მოსურნე, ვინაიდან წარმოუდგენლად მიმაჩნია უმწეო ადამიანებისადმი ძალადობრივი მოპყრობა და, რბილად რომ ვთქვათ, მათი ყველანაირი უფლების ფეხქვეშ გათელება.



გერმანიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ლერი დათაშვილი

უპირველესი კითხვა, რაც პირველი კადრების ნახვის დროს დამებადა იყო: გადაიტანს კი ჩემი ქვეყანა ამ უბედურებას?

- თქვენ, ერთ ჩვეულებრივ ქართველს, გჯერათ ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებისა იმის შესახებ, რომ მათ ამ საზარელი ფაქტების შესახებ არაფერი იცოდნენ?

- პირდაპირ გიპასუხებთ, არა! და არა მარტო ეს, არამედ ეჭვი მეპარება ხელისუფლების მრავალი განცხადების სიმართლეში რაიმე წარმატების შესახებ, ვინაიდან სულ რაღაც რამდენიმე კვირის წინ პენიტენციული სისტემის წარმატებაზე იყო მაღალი ემელონიებიდან საუბარი, სინამდვილე კი - სულ ახლახანს ვიხილეთ ...

სახალხო დამცველი ამის შესახებ პარლამენტის ტრიბუნლიდან აცხადებდა, და თუ მაინც არ იცოდნენ, ეს, პირიქით, უმატებს მათ პასუხისმგებლობის ტვირთს და არანაირად გამართლებების საფუძველი არაა.

- თქვენ გერმანიაში მსგავსი ფაქტების შესახებ თუ გსმენიათ? და თუ შეიძლება მათი არსებობით ნანახის გამართლება?

- შეუძლებელია, რომ ჩემი სიცოცხლე გავამართლო ან თავი დავემშვიდო იმით, რომ სხვა უფრო ცუდია (თუნდაც მხოლოდ ჩემივე შეფასებით). მით უფრო

უაზრობაა ეს სახელმწიფო დონეზე. რა თქმა უნდა, ცუდი ყველგან არსებობს, მაგრამ მე არ მინდა ჩემი ქვეყანა ცუდებში ითვლებოდეს, თუნდაც ზოგ ცუდზე ნაკლებად ცუდი იყოს.

- დღეს ვსაუბრობთ მაღალჩინოსნებისა და სახელმწიფოს მაღალი რანგის პირების პასუხისმგებლობაზე. როგორ ფიქრობთ, საკმარისი ნაბიჯია ორი მინისტრის გადადგომა?

- მინისტრების გადადგომა და რამდენიმე ადამიანის დაკავება ვფიქრობ არ არის ის, რასაც ქართული საზოგადოება ელის ამ უმძიმეს შემთხვევაში. როგორც სათვისტომოს განცხადებაში აღვნიშნეთ, ამ სამარცხვინო ფაქტების ღირსეულად ჩამორეცხვისათვის საჭიროა, რომ უკლებლივ ყველა მონაწილე, თვით უმაღლესი პასუხისმგებელი პირების ჩათვლით (რომელთა სახელებიც თუნდაც ერთხელ გაჟღერებულა აღნიშნულ კონტექსტებში) კანონის შესაბამისად უმკაცრესად და სამაგალითოდ იქნან დასჯილი. ოღონდ, აქ სრული გამჭვირვალობაა აუცილებელი (სხვანაირად დამაჯერებლობა არ ექნება და კიდევ უფრო მეტ პროტესტს გამოიწვევს), მაგალითად სრულიად ობიექტური, თუნდაც შერეული სამოქალაქო საგამომიებო კომისიის

შექმნისა და მისთვის ადექვატური საგამოძიებო თავისუფლების მინიჭების გზით.

- თვლით თუ არა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის გერმანიამ მეტი პროტესტი უნდა გამოხატოს ადამიანის უფლებების მსგავსი დარღვევის გამო? მახსოვს, გერმანიის კანცლერმა, ქალბატონმა ანგელა მერკელმა ძალიან მკაცრად შეაფასა გასულ თვეში რუსი მოძღვრული გოგონების მიმართ გამოტანილი განაჩენი. ახლა კი, მისი რეაქცია არ მოგვისმენია.

- იქიდან გამომდინარე, რომ გერმანიასა და საქართველოს შორის არსებობს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც გერმანია კისრულობს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში დახმარებას, მტკიცე მონიტორინგი და უმკაცრესი შეფასებებია საჭირო მათი მხრიდან საქართველოს მართლა დახმარებისათვის. ვფიქრობ, რომ არა მარტო გერმანიამ, არამედ მთელმა საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მონიტორინგი საქართველოში და მოითხოვონ ყოველგვარი უმსგავსობის აღმოფხვრა. ეს უნდა მოხდეს, მაგალითად ყველანაირი საგანგაშო ინფორმაციის სერიოზული შესწავლისა და გამოკვლევის გზით და არა ისე, როგორც ამ ფაქტებთან დაკავშირებით მოხდა (თუმცა ჩვენ, ქართველობამ, ჩვენი წილი გასაკეთებელი საქმე თვითონ უნდა გააკეთოთ).

- უნდა გადაიღვას თუ არა კონკრეტული ნაბიჯები სათვისტომოს მხრიდან გერმანიის საზოგადოების მეტი ინფორმირებისთვის?

- ვფიქრობ, რომ გერმანული საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა ამ საკითხში არაფრის მომცემია, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნე, უფლებადამცველი და შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან მეტი აქტივობის მოთხოვნა სწორად მიმაჩნია. სათვისტომოს საინიციატივო ჯგუფი უკვე მუშაობს კიდევ ასეთი სახის მიმართვაზე ბოლო დღეების განმავლობაში და ძალიან საჯაროს გავხდით ამ მიმართვას.

- თქვენ, როგორც თავმჯდომარე, ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდით გერმანიის ქართული სათვისტომოს აპოლიტიკურ სტატუსს და მის დაცვას. რატომ?

- განსოვთ, ალბათ, სათვისტომოს სამახსოვრო („ემორანდუმი“), რომელსაც სათვისტომოს შეხვედრებზე მოსულ ადამიანებს ვურიგებდით ხოლმე ჯერ კიდევ 2005 წელს: მასში გვეწერა, რომ სათვისტომო არის ზეპოლიტიკური (და არა

აპოლიტიკური, აქვს ამ მცირე სხვაობას მნიშვნელობა) ორგანიზაცია, საქველმოქმედო ხასიათის იგი უფრო მოგვიანებით გახდა. 90-იან წლებში განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო გამსახურდიასა და შევარდნაძის მომხრეები მყავს მხედველობაში) არა თუ მეგობრები სცილდებოდნენ ერთმანეთს, არამედ ოჯახების დანგრევის შესახებაც კი ვრცელდებოდა ინფორმაციები. თვითონ ვარ შემსწრე იმ უსარგებლო, მომქანცველი და არაფრის მომცემი „პოლიტიკური“ კამათებისა. ამდენად, როდესაც ერთ-ერთ პირველ შეხვედრაზე, ჩემი თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, დარბაზში მსხდომ ქართველობას გადავხედე, სათვისტომოს ზეპოლიტიკურობა დაგაყენე კენჭისყრაზე, ვინაიდან იმ დროს დარბაზში ისხდნენ „ზვიადისტებიც“, „შევარდნაძისტებიც“, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის დროს გერმანიაში დარჩენილი ქართველებიც, მეცნიერებიც, უბრალოდ გაჭირვებას და უმუშევრობას გამოქცეულნიც, ქართულ-გერმანული ოჯახებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნოე ჟორდანიას პოლიტიკური მიმდევრებიც. განსოვთ, ალბათ, ყველამ დაუყოვნებლივ თანხმობა გამოხატა. ამ ნაბიჯით ჩვენ შევძელით, რომ სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებების მქონე პიროვნებები ერთად დაემსხდარიყავით და საერთო საქმე ერთად გვეკეთებინა. ეს მაშინდელი სათვისტომოს მონაპოვრად მიმაჩნია, ვინაიდან სხვანაირად გამორიცხული და წარმოუდგენელი იყო თუნდაც იმ მცირედი პროექტების განხორციელება, რაც სათვისტომომ ამ პერიოდში მოახერხა. სათვისტომოს მთავარ ღირსებად კი, მისი სრული დამოუკიდებლობა მიმაჩნია, როგორც ფინანსური, ასევე პოლიტიკური, სათვისტომო თავისუფალია როგორც სახელისუფლო, ასევე პარტიული ჩარევებისა და გავლენებისაგან, და სწორედ რომ თავისუფლებაშია ჩვენი ძალაც. ცხადია, სიმწელები მაინც გვქონდა და არც ახლა გვაკლია, მაგრამ ამას სულ სხვა საფუძვლები აქვს, ამაზე და სხვა დროს შეგვიძლია ვისაუბროთ.

- კითხვა, რომელზე პასუხიც გერმანიაში მცხოვრებ ბევრ ქართველს აინტერესებს: სად მთავრდება სათვისტომოს ტიპის ორგანიზაციის „ზეპოლიტიკურობა“? დგას თუ არა დღეს, თქვენი აზრით, მომენტი, როდესაც სათვისტომომ კონკრეტული პოლიტიკური განცხადება უნდა გააკეთოს?

- თუ ჩვენი სათვისტომოს წინა პერიოდებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სათვისტომოს ყველა წევრი უყოყმანოდ თანხმდებოდა პოლიტიკურ

აქტივობაზე საბჭოთა კავშირის დროს, როცა საქართველო არ იყო დამოუკიდებელი, ანუ მიზანი ერთი იყო ყველასათვის. თავისუფალი საქართველოს პირობებში, სათვისტომო ავტონომიურად დარჩა პოლიტიკური აქტივობების გარეშე, მრავალი ძველი ემიგრანტი სწორედ იმ პერიოდში ჩავიდა საქართველოში პირველად. თუმცა ჩვენმა ბოლო პერიოდის „ზეპოლიტიკურობამ“ არ შეგვიშალა ხელი რუსეთის მოძალადე პოლიტიკის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 2006 წელს საპროტესტო გამოსვლები მოგვეწყო მიუნხენში. 2008 წლის აგვისტოში რუსული აგრესიის დროს ყოველდღიურ, ხოლო შემდეგ კი ყოველკვირეულ საპროტესტო აქციებს ვაწყობდით თითქმის წელიწადის განმავლობაში. დღევანდელ მოვლენებს მიეუბრუნდეთ. მე ვფიქრობ, რაც სათვისტომომ ზოგადად უნდა მოიმოქმედოს, ისაა, რომ სამართლიანობის სადარაჯოზე იდგეს, როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებში,

სახელისუფლებო სისტემის შიგნით უამრავ სისხლის სამართლებრივ დანაშაულთან, თანამდებობრივ, მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობასთან. საქართველომ უნდა მიაღწიოს, რომ არავინ დაუსჯელი არ დარჩეს. მხოლოდ ასე შეძლებს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი სახელმწიფო ამ სამარცხვინო ლაქის ჩამორეცხვას.

თქვენ ამას თუ გნებავთ სამოქალაქო პოზიცია დაარქვით, თუ გნებავთ პოლიტიკური განცხადება, თუმცა მე პოლიტიკურს არ/ვერ დავარქმევ. ჩვენი ამოცანაა ფხიზლად ყოფნა, რათა არც ერთი მცირედი საგანგაშო ინფორმაციაც კი რეაგირების გარეშე არ დაგვრჩეს სახელმწიფოსა და საზოგადოების არცერთ სფეროში. ისიც გასაგებია, რომ ეს ურთულესი განსახორციელებლია.

- მომავალ ორშაბათს არჩევნებია ...

- კარგია რომ არჩევნების შესახებაც მკითხეთ.

**სათვისტომოს მთავარ ღიშნებად მისი სრული დამოუკიდებლობა მიზანია, რომლის წინააღმდეგ, ასევე პოლიტიკური. სათვისტომო თავისუფალია რომლის სახელისუფლო, ასევე პატივითი ჩამოგდება და ბაზილიზაცია, და სწორედ რომ თავისუფლებაში ჩვენი ახლა.**

ასევე გერმანიაში და ზოგადად, უცხოეთში მყოფ ქართველებთან დაკავშირებულ მოვლენებზე. ამას, თითქოს, ვცდილობთ კიდევ, მაგრამ აქტუალურმა შემზარავმა ფაქტებმა დაგვანახა (ვფიქრობ, მთლიანად საქართველოს და ყველა ქართველს დაანახა), რომ არ შეიძლება არც ერთი, არა თუ ფაქტის, არამედ მცირე საგანგაშო სიგნალის იგნორირება ან ვინმე სხვის იმედზე ყოფნა, რომ ის მიაქცევს ამ საკითხს ყურადღებას და ჩვენ სხვა რამ გააკეთოთ. ამ ყველაფერიდან გამომდინარე, მე ახლავ ვინაა გამოვთქვა უკიდურესი პროტესტი იმის თაობაზე, რომ კვლავ ვრცელდება ინფორმაცია პატივების წამებით სიკვდილის უამრავი ფაქტის შესახებ, თუმცა ხელისუფლებისაგან ამის თაობაზე ადექვატური რეაგირების შესახებ არა გამოგია რა. ასევე, ის ფაქტი, რომ ციხის საკნის ფანჯრიდან პატივების მიერ ნათქვამი (ამ დღეებში გავრცელდა ტელევიზიებითა და ინტერნეტით), რომ „ციხე კვლავ სავსეა ჯალათებით“ და როგორც კი პატრული გადის ისინი კვლავ აგრძელებენ პატივებზე მუქარას მომავალი ძალადობის შეპირებებით, უცილობელი გამოძიების, ხაზს ვუსვამ, საჯარო, გამჭვირვალე და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების საგანი უნდა გახდეს. დავუკვირდეთ, საქმე გვაქვს

სამწუხაროა, რომ მიუნხენში საარჩევნო უბნის გახსნა არ მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად საქართველოს კანონმდებლობით ეს აუცილებელიც იყო, ხოლო გერმანიის კანონმდებლობით - შესაძლებელი. ამის გამო, სამწუხაროდ, მრავალი ქართველი ვერ მოახერხებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. ამას გარდა კიდევ ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია, რომელიც საკონსულო აღრიცხვასა და საარჩევნო სიებს ეხება გერმანიაში, თუმცა ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ სპეციალურ საარჩევნო სიაში ვიქნები, ვინაიდან ორშაბათს დილით ვაპირებ ბერლინში ხმის მიცემას და ჩემი მოქალაქეობრივი ვალის მოხდას ჩემი ქვეყნის წინაშე.

აქვე, მრავალჯერ ნათქვამი კიდევ უნდა ვთქვა, თითოეულმა მოქალაქემ უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა და თავისუფალი არჩევანი გააკეთოს, რამეთუ სწორედ თითოეულის ხელშია ახლა ქვეყნის ბედი. ჩემი აზრით, სწორი განვითარებისათვის აუცილებელია, და ამას ვუსრვებ საქართველოს, ქვეყანამ მიიღოს მრავალპარტიული გაწონასწორებული პარლამენტი.

ესაუბრა  
ნინო საბელაშვილი

## ინტერვიუ მიუნხენის ქართული ეკლესიის წინამძღვართან ლევანოზ თაბაჯაძესთან

- მამაო, პირველ რიგში გილოცავთ დასავლეთ ეპარქიის დაარსების 10 წლისთავს. იქნებ მოკლედ მოგვითხროთ ფლორენციაში გამართულ საზეიმო ღონისძიებებისა და საეკლესიო კრების შესახებ.

- დიდი მადლობა. მეც ვულოცავ მთელს ჩვენს ეპარქიას, სასულიერო პირებს და მრევლს. 17 ოქტომბერს 10 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც 2002 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის დადგენილებით დაარსდა დასავლეთ ევროპის ეპარქია. ფლორენციის 22-23 ოქტომბრის საღმრთო სასულიერო ღონისძიებებიც სწორედ ამ იუბილეს ეძღვნებოდა. ზეიმს ესწრებოდა დასავლეთ ევროპაში მოღვაწე თითქმის ყველა სასულიერო პირი. 22 ოქტომბერს მისმა მალაქოეულადუსამღვდელოესობამ, დასავლეთ ევროპის მმართველმა მიტროპოლიტმა აბრაამმა ეპარქიის სამღვდლოებასთან ერთად საზეიმო წირვა აღავლინა ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის ქართული სამრევლოს ტაძარში. ზეიმს ესწრებოდა მრავალრიცხოვანი ადგილობრივი და ჩამოსული მრევლი. მეორე დღეს, 23 ოქტომბერს ჩატარდა დასავლეთ ევროპის ეპარქიის საეკლესიო კრება, რომელზეც მიტროპოლიტ აბრაამის მიერ შეჯამებული იქნა განვლილი პერიოდი, სამრევლოების წინამძღვრებმა წარმოადგინეს ანგარიში მათი სამრევლოების მიერ გაწეული საღვთისმსახურო, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ. ასევე იყო მსჯელობა სირთულეებზე და სამომავლო გეგმებზე.

- რა დანიშნულება აქვს დასავლეთ ევროპის ეპარქიას, როგორც ქართული ეკლესიის ნაწილს?  
- ჩვენი ეპარქია განსხვავებულია საქართველოს ეკლესიის სხვა ეპარქიებისგან იმ მხრივ, რომ იგი არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც საქართველოს ეკლესიის განუყოფელი ნაწილი, იგი აერთიანებს და სულიერ მზრუნველობას უწევს დასავლეთ ევროპაში მცხოვრებ საქართველოს ეკლესიის მრევლს. ეპარქიის დანიშნულებაა შეუნარჩუნოს საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს მრევლს უწყვეტი კავშირი საქართველოს ეკლესიასთან, მართლმადიდებლურ რწმენასთან, სამშობლოსთან და ასევე შეუმსუბუქოს უცხოებაში ყოფნის სულიერი სიმძიმე. დამეთანხმებით, რომ იმ ქალაქებში, სადაც ქართული სამრევლოები არსებობს, ბევრად უადვილდებათ საქართველოდან წამოსულებს თავის დამკვიდრება და ცხოვრება. ეპარქიის დაარსების მომენტში დასავლეთ ევროპაში არსებობდა მხოლოდ 2 სამრევლო და 3 სასულიერო პირი. დღეისათვის ფუნქციონირებს 62 ქართული მართლმადიდებლური სამრევლო და მოღვაწეობს 18 მღვდელმსახური.

- იყო თუ არა საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები შეკრების ერთ-ერთი თემა?

-არა. ამ თემაზე საეკლესიო კრებაზე საუბარი არ ყოფილა.



**- თქვენი აზრით, რა როლს ასრულებს დღეს ეკლესია საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და რამდენად აისახება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა საზოგადოებაზე?**

- საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია, ყოველ შემთხვევაში აღიარებს, რომ ეკუთვნის საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას. სხვადასხვა გამოკითხვების შედეგებითაც უმრავლესობისთვის ეკლესიის ავტორიტეტი დიდია და ხალხი ნდობას უცხადებს მას. აქედან გამომდინარე ლოგიკურია, რომ საზოგადოება ყოველთვის ყურადღებით აღევნებს თვალს ეკლესიის პოზიციას, აინტერესებს მისი აზრი. ხშირად ვხედავთ, რომ გარკვეული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფები განგებ ცდილობენ ეკლესიასთან გარეგნულ სიახლოვეს, რადგან ეს მომგებიანია მათი რეიტინგისთვის. ვერ ვიტყვით, რომ სახელწიფოს და ეკლესიას რაიმე განსაკუთრებული სახის თანამშრომლობა ან სხვა ურთიერთობა ჰქონდათ აქამდე. კანონმდებლობის მიხედვით ეკლესია დამოუკიდებელია სახელწიფოსაგან. 2002 წლის კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით სახელმწიფო, თავის მხრივ აღიარებს ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. ყველა ფაქტორის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს ქვეყანაში სხვა კონფესიებთან შედარებით. ვფიქრობ, რომ სარწმუნოების ქადაგების პარალელურად ეკლესია უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული სოციალურ პროექტებში, ისეთ სფეროებში როგორცაა: სკოლები და საბავშვო ბაღები, უპატრონო ბავშვთა სახლები, ინვალიდ ბავშვებზე მზრუნველობა, მოხუცებულთა თავშესაფრები, სარეაბილიტაციო ცენტრები და ა.შ. ზრუნვა ამ სფეროებზე პირდაპირ კავშირშია ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან და ვალდებულიც კია ყველა ხელისუფლება, რომ ამ საკითხებში ითანამშრომლოს ეკლესიასთან და ხელი შეუწყოს მას ყველა საშუალებით.

**- ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე ხშირად იყო დისკუსიები იმის თაობაზე, თუ რამდენად უნდა ჩაერიოს ჩვენი ეკლესია და მისი მსახურები მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში. გავრცელდა სასულიერო პირების ამსახველი სხვადასხვა ვიდეო-მასალები, რომლებშიც ისინი მოქალაქეებს ამკარად თუ შეფარვით გარკვეული პოლიტიკური ძალის მხარდაჭერისაკენ**

**მოუწოდებდნენ. როგორია თქვენი შეხედულება ამ საკითხისადმი?**

- ეკლესია და სასულიერო პირები არ უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკურ პროცესებში და მითუმეტეს საარჩევნო



დეკანოზი თამაზი (ლომიძე)

კამპანიებში. ეს არ არის ეკლესიის საქმე. ეს ზუსტად არის დაფიქსირებული წმ. სინოდის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილებაში. ვინც სხვანაირად იქცევა არღვევს ეკლესიის ამ ოფიციალურ დადგენილებას. სასულიერო პირის მოვალეობაა სარწმუნოების სწორად ქადაგება, ადამიანებისთვის სულიერი თანადგომა, ქველმოქმედება, სოციალური საქმიანობა და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა. უმჯობესია საზოგადოებისთვისაც და თვით ეკლესიისთვისაც, თუ ეკლესია დარჩება ნეიტრალური. იმავედროულად ეკლესია უნდა იყოს ერის სინდისი. ზუსტად ისევე, როგორც სინდისი ამხილებს ადამიანს ამა თუ იმ მოქმედებაში, ეკლესიამაც ფხიზლად და მიუკერძოებლად პირველმა უნდა ამხილოს უხეობა და უსამართლობა საზოგადოებაში, ვინც არ უნდა იყოს ამის ჩამდენი, ხელისუფლება, ოპოზიცია თუ უბრალო ადამიანი. გარდა ამისა, მღვდელს, როგორც ქვეყნის მოქალაქეს, რა თქმა უნდა აქვს უფლება გააჩნდეს საკუთარი პოლიტიკური შეხედულება და მხარს უჭერდეს რომელიმე ძალას. თუ სასულიერო პირს ამ მხარდაჭერის საჯაროდ გამოხატვის სურვილი აქვს, ეს უნდა გააკეთოს მღვდლის შესამოსელის გარეშე, როგორც ჩვეულებრივმა მოქალაქემ და არა ეკლესიის ამბონიდან.

**- ბევრი მითქმა-მოთქმაა ასევე იმის თაობაზე, თუ რამდენად ერევა თვითონ სახელმწიფო ეკლესიის ცხოვრებაში. არის თუ არა საქართველოში ეკლესია თავისუფალი ყოველგვარი გარე ზეწოლისაგან.**

- სახელმწიფო ეკლესიის ცხოვრებაში ვერ ჩაერევა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეკლესია დამოუკიდებელია სახელწიფოსგან და ხელისუფლებასაც განსაკუთრებით დიდი ინტერესი არა აქვს ხოლმე საეკლესიო ცხოვრებაში ჩარევისა. მნიშვნელოვანი პროცესების დროს, გარკვეული ზეწოლის მცდელობები სახელმწიფოს მხრიდან



ყოველთვის იყო და, ალბათ, ახლაც არის. ასე იყო ყველა ეპოქაში, როცა ეკლესია ავტორიტეტით სარგებლობდა. ბუნებრივია ხელისუფლება ცდილობს ეს ავტორიტეტი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს გარკვეული მიზნების მისაღწევად. ხდება ისეც, რომ თუ ხელისუფლება სახელმწიფო სახსრებით დახმარებას უწევს ეკლესიას, მის სანაცვლოდ ითხოვს მხარდაჭერას და საკუთარი პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამართლებას ეკლესიის მხრიდან. ეს არასწორია. ეკლესია ხელისუფლებისგან თუ კერძო პირებისგან დახმარებას იღებს როგორც შესაწირს საღვთო საქმისათვის და ამის გამო ზეწოლა არავინ არ უნდა აკადროს ეკლესიას.

- ახლახანს ჩატარდა არჩევნები, მოსახლეობის აქტივობა გასულ წლებთან შედარებით ძალიან მაღალი იყო, თუმცა ბევრმა ამჯერადაც არჩია გარიდებოდა მიმდინარე პროცესებს. თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა ადამიანს გააჩნდეს სამოქალაქო პოზიცია და გამოხატოს იგი შესაბამისი აქტივობით (მაგ. არჩევნებზე მისვლით)?

- ილია ჭავჭავაძე „განდევილში“ ამბობს: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს.“ ძალიან კარგია, როცა საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს წინაპირობაა სამართლიანი და დემოკრატიული საზოგადოებისა. მეორეს მხრივ ყველას უფლებაა თავისუფალი არჩევანი. თუნდაც თავის შეკავება ხმის მიცემისგან. ალბათ, გააჩნია შემთხვევას, თუ რატომ არ მონაწილეობს მოქალაქე არჩევნებში.

- თუ შეეთავსება საზოგადოებისთვის მიუღებელი ქმედების (თუნდაც სახელმწიფო მესვეურთა მიერ) წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვა ჩვენს რელიგიურ სწავლებას?

- პირიქით, ეს ქრისტიანის პირდაპირი მოვალეობაა. ხშირად მცნება „ნუ განიკითხავ“ არასწორად გვესმის. „ნუ განიკითხავ“ არ ნიშნავს, რომ თვალი დაეხუჭოთ უსამართლობაზე და უზნეობაზე, წაუყურეთ უკანონობას თითქოს ეს ჩვენი საქმე არ არის. სახარება გვასწავლის: თქვენი სიტყვა იყოს პო ან არა. ანუ კარგზე თქვი, რომ კარგია და ცუდს უწოდე ცუდი. პირდაპირ და დაუფარავად. საშუალო და ნელთბილი დამოკიდებულება საძაგელია ღვთის წინაშე. იოანეს გამოცხადებაში არის ასეთი ადგილი.

მეორედ მოსვლისას უფალი ამ სიტყვით ამხელს ლაოდიკეის ეკლესიას: „ვიცი საქმენი შენნი. არც ცივი ხარ და არც ცხელი. ოჰ ნეტავ ცივი მაინც იყო ან ცხელი. მაგრამ რაკი ასე ნელ-თბილი ხარ, არც ცივი ხარ და არც ცხელი, ამიტომ გადმოგაფურთხებ ჩემს ბაგეთაგან.“ (გამოცხ. 3,15-16) ნელთბილი დამოკიდებულება ანუ პროტესტის არგამოხატვა უსამართლობის ჩამდენთა მიმართ, თუნდაც ეს სახელმწიფო მესვეურები იყვნენ, ეწინააღმდეგება ქრისტიანობას.

- პოსტ-საბჭოთა პერიოდში, როდესაც ეკლესიის „გამოცოცხლება“ დაიწყო და ქვეყანაში შესაბამისი განათლების მქონე პირების ნაკლებობა შეიმჩნეოდა, ხდებოდა სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მღვდლებად კურთხევა. როგორ ფიქრობთ, ახდენდა თუ არა გამოუცდელი მოძღვრის ქადაგება გავლენას მრევლის არასწორი შეხედულებებისა და აზროვნების ჩამოყალიბებაზე?

- ალბათ, ახდენდა. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, რომ თავიდანვე ყველა სასულიერო პირს ჰქონოდა საღვთისმეტყველო განათლება. მაგრამ, მაშინ ეს შეუძლებელი იყო. მეორეს მხრივ, სულიერად დამშუულ ხალხს სჭირდებოდა ღვთისმსახურება და რაღაც სახის ურთიერთობა ეკლესიასთან. საჭირო იყო დაწვება რაღაც წერტილიდან და სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა მღვდლად კურთხევა მაშინ უფრო სიტუაციიდან გამომდინარე გამოწვევის იყო, ვიდრე წესი.

- როგორი სიტუაციაა დღეს საქართველოში? არის თუ არა გარკვეული განათლების მიღება წინაპირობა მღვდლად კურთხევისა?

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით სასულიერო პირს უნდა ჰქონდეს მიღებული საღვთისმეტყველო განათლება. კადრების მოსამზადებლად თითქმის ყველა ეპარქიაში მოქმედებს სასწავლებლები - სასულიერო სემინარიები და აკადემიები. მიუხედავად ამისა ხდება მღვდლად ხელდასმმა საღვთისმეტყველო განათლების გარეშე. ამ გადაწყვეტილებას იღებენ მღვდელმთავრები საკუთარი შეხედულების მიხედვით. ხშირად აკადემიური განათლების აუცილებლობის მოწინააღმდეგეებს მაგალითად სახარებიდან მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ქრისტეს მოციქულები გაუნათლებელი მეთევზეები იყვნენ. მათ ავიწყდებათ ის, რომ ეს მეთევზეები 3 წლის განმავლობაში იყვნენ

იესო ქრისტეს, მათი ღვთაებრივი მასწავლებლის მოწაფეები და მისგან ისწავლეს ყველაფერი ის, რაც შემდგომში გაავრცელეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: მოციქულები სამი წელი სწავლობდნენ ღვთისმეტყველებას იესო ქრისტესგან. საღვთისმეტყველო განათლების გარეშე ძალიან გაუჭირდება სასულიერო პირს სარწმუნოების სწორად ქადაგება.

**- როგორ ფიქრობთ, რა სახის ცვლილებებია აუცილებელი იმისათვის, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველებმა რეალურად იფიქრონ სამშობლოში დაბრუნებაზე?**

- არაფერს განსაკუთრებულს არ ითხოვს ჩვენი ხალხი. აუცილებელია, რომ დამყარდეს ნამდვილი და არა მოჩვენებითი წესრიგი და სამართლიანობა ქვეყანაში. კანონები უნდა იყოს სამართლიანი და ადამიანის კეთილდღეობისთვის შექმნილი. მთავრობა უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ კანონის წინაშე თანასწორი იქნება ყველა მოქალაქე. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ხელისუფლება ფიქრობს, თუ რითი შეუმსუბუქოს საკუთარ მოქალაქეებს ცხოვრება. დარწმუნებული ვარ, რომ თუ საქართველოში

შეიქმნება სამუშაო ადგილები, რითაც მოქალაქეებს საკუთარი შრომით შეეძლებათ ნორმალურ, თუნდაც საშუალო პირობებში ცხოვრება, ძალიან ბევრი ადამიანი მალევე დაბრუნდება სამშობლოში.

**- რა კონკრეტული მოლოდინი გაქვთ თქვენ, როგორც საქართველოს მოქალაქეს და როგორც ეკლესიის მსახურს, საქართველოში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით?**

- მე იმედიანად ვარ განწყობილი. განსაკუთრებით იმის გამო, რომ განსხვავებით ყველა სხვა პერიოდის პოლიტიკური ცვლილებებისა, ამჯერად ხელისუფლების ცვლა მოხდა ცივილიზებულად და მშვიდობიანად. სამოქალაქო კულტურა გაიზარდა საზოგადოებაში. ხალხის ნდობა და მხარდაჭერაც აქვს ახალ ხელისუფლებას და იმედია, გაამართლებენ ნდობას. მერწმუნეთ, რომ თუ ნამდვილი სამართლიანობა და კანონიერი წესრიგი დამყარდება, ბევრად უფრო წარმატებით და ერთგულად იშრომებს ერიც და ბერიც.

ესაუბრა

**ნინო საბელაშვილი**

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით საზღვარგარეთ დამატებით ხუთი საარჩევნო უბანი გახსნა, რამაც ჯამში სხვა სახელმწიფოებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებთან აქამდე შექმნილი უბნების რაოდენობა 45-მდე გაზარდა.

დამატებითი საარჩევნო უბნები შეიქმნა ხუთი ქვეყნის ამდენივე ქალაქში: ოტავაში, დუბლინში, ბუდაპეშტში, ლისაბონსა და ბარსელონაში.

ამ გადაწყვეტილების შედეგად სულ 36 ქვეყნის 43 ქალაქში შეეძლება საქართველოს მოქალაქეებს ხმის მიცემა. ამ ქვეყნებს შორის არ არის რუსეთი, რის გამოც იქ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები არჩევნებში მონაწილეობას ვერ შეძლებენ.

ყველაზე მეტი საარჩევნო უბანი (ოთხი) საბერძნეთშია - ორ-ორი ათენსა და სალონიკში; თურქეთში სამი უბანი გაიხსნა - ანკარაში, სტამბოლსა და ტრაპიზონში; ასევე სამი უბანია უკრაინაში - კიევი, ოდესა და დონეცკი; აშშ-ში ორი უბანი - ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში; ასევე ორი უბანია ესპანეთში - მადრიდსა და ბარსელონაში.

საარჩევნო უბნები ასევე გახსნილია 31

ქვეყნის შემდეგ ქალაქებში: ვენა; ბაქო; მინსკი; ბრიუსელი; სოფია; ბერლინი; კოპენჰაგენი; ლონდონი; ქაირო; ტალინი; თელ-ავივი; რომი; ნიქოზია; რიგა; ვილნიუსი; ჰააგა; ვარშავა; ბუქარესტი; პარიზი; ბრატისლავა; ერევანი; ტაშკენტი; ალ-ქუვეითი; ასტანა; სტოკჰოლმი; ბერნი; პრაღა; ბუდაპეშტი; დუბლინი; ლისაბონი და ოტავა.

იორდანიაში და ირანში ორი უბანი თავდაპირველად შეიქმნა, თუმცა 13 სექტემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ამ ორ ქვეყანაში უბნები გაუქმდა იქ ამომრჩეველთა არასაკმარისი რაოდენობის მოტივით.

ამის გარდა, ორი სპეციალური უბანია შექმნილი ავღანეთში, ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში მონაწილე ქართველი ჯარისკაცებისთვის - ორივე უბანი ჰელმანდის პროვინციაშია.

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საარჩევნო უბანი იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 1500 ამომრჩეველისთვის. საზღვარგარეთის უბნები ერთ ოლქს შეადგენენ და მათ შედეგებს ცესკო აჯამებს.

## გერმანიის ფარიტორიაზე დამატებითი საარჩევნო უბანი არ გაიხსნა, მიუხედავად იმისა, რომ თვით საქართველოს კანონმდებლობაც ავას მოითხოვდა

ჩვენი ჟურნალის სტუმრები არიან გერმანიაში რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციის - „ემიგრანტები დემოკრატიული საქართველოსთვის“ დამფუძნებლები და წევრები ზურაბ კოჭლამაზაშვილი და ივანე აბიათარი. ორგანიზაცია „ემიგრანტები დემოკრატიული საქართველოსთვის“ (ნინო ჩხიკვაძის თავმჯდომარეობით) მიუნხენში ამა წლის მარტში დაარსდა. მისი მიზანია ხელი შეუწყოს გერმანიაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების აქტიურ ჩართვას საქართველოში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებში და გაზარდოს მათი ინფორმირებულობა. ასევე საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს სხვადასხვა სახის დახმარება. არასამთავრობო ორგანიზაცია წინასაარჩევნო პერიოდიდან მოყოლებული ჩართულია საპარლამენტო არჩევნების პროცესში. მის მთავარ მიზანს ქართველი ემიგრანტების საარჩევნო აქტივობის გაზრდა წარმოადგენდა. ზურაბ კოჭლამაზაშვილი და ივანე აბიათარი გერმანიის ტერიტორიაზე ჩატარებულ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე, შექმნილ პრობლემებზე და უპასუხოდ დარჩენილ შეკითხვებზე გვესაუბრებიან:



ზურაბ კოჭლამაზაშვილი

**ზურაბ:** ადრეც იყო იმის მცდელობა, რომ სამხრეთ გერმანიაში გახსნილიყო კიდევ ერთი საარჩევნო უბანი აქ მცხოვრები ქართველებისათვის. ეს შესაძლებელი იქნებოდა მიუნხენში არსებულ საქართველოს საპატო საკონსულოში. საქართველოს მხრიდან კი ყოველთვის ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გერმანიის კანონმდებლობა კრძალავს ქვეყნის საპატო საკონსულოში საარჩევნო უბნის გახსნას. ჩვენ შევეცადეთ ეს ინფორმაცია

გადაგვემოწმებინა, დაუკავშირდით სხვადასხვა ინსტიტუტებს გერმანიაში: ბუნდესტაგს, საგარეო საქმეთა სამინისტროს. ჩვენ მათ წერილობით მივმართეთ და ვკითხეთ გერმანიის კანონმდებლობით მართლა არის თუ არა აკრძალული ქვეყნის საპატო საკონსულოში საარჩევნო უბნების გახსნა. პასუხად მივიღეთ წერილობითი დასტური იმისა, რომ საპატო საკონსულოებში ნებადართულია საარჩევნო უბნების გახსნა. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ აქტიურად დავიწყეთ მცდელობა იმისათვის, რომ მიუნხენში გახსნილიყო მეორე საარჩევნო უბანი გერმანიაში მცხოვრები ათასობით საქართველოს მოქალაქისათვის. მივმართეთ საქართველოს საელჩოს ბერლინში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საპატო საკონსულოს მიუნხენში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას თბილისში. გაკეთდა პეტიცია უბნის გახსნის მოთხოვნით და შეგროვდა ხელმოწერები... სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი ამდენი მცდელობისა, მეორე უბანი გერმანიის ტერიტორიაზე მაინც არ გაიხსნა. ამის გამო, უამრავ საქართველოს მოქალაქეს



ივანე აბიათარი

მოუწია სხვადასხვა ქალაქებიდან 600, 700, 800 კმ-ის გაველა, რათა ჩასულიყო ბერლინში და მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. თუ რა მიზეზით გვითხრეს უარი დღემდე არ ვიცით, არანაირი ოფიციალური უარი არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ქვეყანაში დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა რიცხვი 1.500 ადამიანს აღემატება, სავალდებულოა მეორე, დამატე-

ბითი უბნის გახსნა. ბერლინში რეგისტრირებული იყო 2.700 ამომრჩეველი და მხოლოდ ერთი საარჩევნო უბანი გაიხსნა, რითიც კანონის დარღვევას ჰქონდა ადგილი. ჩვენ მოვითხოვდით მეორე უბნის გახსნას, რადგანაც გერმანიის კანონმდებლობა ამის უფლებას იძლეოდა და საქართველოს მხრიდან ამაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობდა. ჩვენი წერილის პასუხად, საქართველოს საელჩომ რამდენიმე კვირის შემდეგ შეგვატყობინა, რომ ჩვენი მოთხოვნა გადაეცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. საბოლოოდ ეს გადაწყვეტილება სწორედ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა მიეღო. თუ რატომ არ დააკმაყოფილა კომისიამ ჩვენი მოთხოვნა და რატომ არ შეგვიმსუბუქა ასობით საქართველოს მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობა, ჩვენთვის უცნობი და გაუგებარია. მიუხედავად იმისა, რომ თვით საქართველოს კანონმდებლობაც ითხოვს დამატებითი უბნის გახსნას, ეს არ მომხდარა.

ყველაზე დიდი პრობლემები შეიქმნა საარჩევნო სიების დადგენისას. როგორც გითხარით, გერმანიის ტერიტორიაზე წლევეანდელ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება 2.700 საქართველოს მოქალაქეს ჰქონდა. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა 2008 წლის არჩევნების ოქმი. მის თანახმად 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება გერმანიის ტერიტორიაზე 4.000 საქართველოს მოქალაქეს ჰქონდა. იბადება კითხვა: სად წავიდა 1.300 კაცი? ამაზე პასუხს ვერავინ ვერ გვცემს. გარდა ამისა, მე პირადად ვიცნობ რამდენიმე პიროვნებას მიუნხენში, რომელსაც გასულ არჩევნებში მონაწილეობა აქვს მიღებული, ახლა კი თავი სიაში ვერ აღმოაჩინა. არადა საცხოვრებელი ადგილი არ შეუცვლია. ბევრი რეკავს ჩვენს ორგანიზაციაში აღმოთხოვნილი და გაკვირებული თუ რატომ არ არის საარჩევნო სიაში და რატომ არ აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის შემდეგ საკონსულო აღრიცხვის სისტემა უფრო გამართულად მუშაობს, შესაბამისად იყო მოლოდინი იმისა, რომ 2012 წლის არჩევნებისთვის წინა არჩევნებთან შედარებით არათუ 1.300 ამომრჩეველით ნაკლები, არამედნა გაცილებით მეტი საქართველოს მოქალაქე იქნებოდა რეგისტრირებული. გავრცელებული გადაუშოშქვებელი ინფორმაციით გერმანიაში საკონსულო აღრიცხვაზე იმყოფება 6.000 საქართველოს მოქალაქე, თუმცა ამას უარყოფს საქართველოს საკონსულო. მიუხედავად ამისა, არსებობს უამრავი კონკრეტული ფაქტით გამყარებული საფუძვლიანი ეჭვი, რომ საარჩევნო სიებში ხელოვნურად მოხდა ამომრჩეველთა რაოდენობის შემცირება. Statistisches Bundesamt-დან მიღებული ოფიციალური მონაცემებით 2011

წლისთვის გერმანიაში მუდმივი საცხოვრებელი ჰქონდა 14.000 მდე საქართველოს მოქალაქეს. აქედან საარჩევნო სიაში მოხვდა მხოლოდ 2.700 ამომრჩეველი. დამეთანხმებით, ძალიან ცუდი შედეგია.

**ივანე:** ცალკე გამოსაყოფი თემაა წინა საარჩევნო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული ბრძანებულება, რომლითაც მნიშვნელოვნად გართულდა ემიგრანტებისთვის საკონსულო აღრიცხვის პროცედურა. ამ ბრძანებულების თანახმად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტების ნუსხას დაემატა ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. აღნიშნული ცვლილებით არა მარტო შეიზღუდა უცხოეთში ლეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების რეგისტრაცია, არამედ პრაქტიკულად გამოირიცხა „არალეგალი“ ემიგრანტების არჩევნებში მონაწილეობა. დამატებით უნდა აღინიშნოს წინა საარჩევნო პერიოდში იუსტიციის სახლის საკონსულო აღრიცხვის „ონლაინ“ სერვისის ძალზედ გაუმართავი მუშაობა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო უამრავი ამომრჩეველის საარჩევნო სიაში ვერ მოხვედრას. ჩვენი ორგანიზაციის ძალისხმევით მოხერხდა 500-მდე საქართველოს მოქალაქის შეყვანა საარჩევნო სიაში. აქედან 300-ზე მეტი ემიგრანტის დარეგისტრირება მოხერხდა სპეციალურ საარჩევნო სიაში.

**- რამდენი და რა სახის აქციები მოეწყო მიუნხენში დამატებითი უბნის გახსნის მოთხოვნით? სხვა ქალაქებშიც თუ მოეწყო აქციები იგივე მოთხოვნით? ზურაბ:** აქციებს სამხრეთ გერმანიაში უბნის გახსნის მოთხოვნით სისტემატური ხასიათი ჰქონდა, განვლილი თვეების განმავლობაში მიუნხენსა და შტუტგარტში გაიმართა დაახლოებით 4-5 საპროტესტო აქცია. აქციები ასევე გაიმართა ბერლინში და დუსელდორფში. ამ აქციათა უმრავლესობა გაშუქდა როგორც ბეჭდურ, ასევე სატელევიზიო მედიაში.

**- თუ გაქვთ ინფორმაცია დაახლოებით რამდენი ამომრჩეველია სამხრეთ გერმანიაში?**

**ივანე:** ბადენ-ვურტენბერგსა და ბავარიაში ოფიციალური გერმანული წყაროს მიხედვით მუდმივად ცხოვრობს 5.000-მდე საქართველოს მოქალაქე. აქედან 4.000-ზე მეტი მოქალაქე არის საარჩევნო ასაკის. ასევე სამხრეთ გერმანიას შეგვიძლია მივათვალოთ ფრანკფურტის და ზაარბრუკენის მხარეში მცხოვრები ქართველებიც, რადგან მათთვის ტერიტორიულად მიუნხენი

უფრო ახლოსაა, ვიდრე ბერლინი. მიუხედავად ზემოთაღნიშნული ციფრებისა საარჩევნო სიაში დაახლოებით ათასი ამომრჩეველია სამხრეთ გერმანიიდან.

**- თქვენი აზრით რატომ არ გაიხსნა დამატებითი უბანი?**

**ზურაბ:** როგორც აღვნიშნე, ამის არანაირი ოფიციალური მიზეზი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ დაუსახელებია. ასე მხოლოდ ჩვენ არ „დაგვსაჯეს“, ამდაგვარი პრობლემები სხვა ქვეყნებშიც არსებობდა. მაგალითად იტალიაში, ბარში ცხოვრობს 15.000-მდე საქართველოს მოქალაქე. ისინიც ითხოვდნენ დამატებითი უბნის გახსნას, ასევე საფრანგეთში, ქალაქ ლიონში მცხოვრები ქართველები ითხოვდნენ იგივეს. ამ ყველაფერს სისტემური ხასიათი ჰქონდა, სხვადასხვა ქალაქებიდან იყო მსგავსი მოთხოვნა და არც იქ მოხდა ხალხის ამ ნების დაკმაყოფილება. ეს გარემოება ბევრში ბადებს გარკვეულ ეჭვებს იმის შესახებ, რომ ეს ყველაფერი განზრახ ხდებოდა.

**- ბევრი იყო ისეთი ადამიანი, რომელმაც რამდენიმე ასეულ კილომეტრი გაიარა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად?**

**ივანე:** არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი და მზადყოფნა ძალიან დიდი იყო. მიუნხენიდან ბერლინში წავედით 80-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე. იყვნენ ქართველები შტუტგარტიდან, ფრანკფურტიდან, დიუსელდორფიდან, კიოლინიდან, ჰამბურგიდან და ლაიფციგიდან. რა საკვირველია, ბერლინში მცხოვრებმა ქართველებმაც იაქტიურეს. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ არჩევნები დანიშნული იყო სამუშაო დღეს. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ არჩევნების სამუშაო დღეს დანიშნა მნიშვნელოვნად შეამცირებდა არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას. მიუხედავად ამისა ვთვლი, რომ ბერლინში გამგზავრებას საკმაოდ მასშტაბური სახე ჰქონდა.

**- როგორ მოხდა მათი გამგზავრება ბერლინში? ვინ გაუკეთა ამას ორგანიზება?**

**ზურაბ:** ჩვენი ორგანიზაციის სახელით გაკეთდა ოფიციალური მიმართვა გერმანიაში მოღვაწე ქართველი მცირე მეწარმეების მიმართ, რითაც მათ ვთხოვეთ ბერლინში ამომრჩეველთა გამგზავრებისთვის მგზავრობის უზრუნველყოფა. საბედნიეროდ ჩვენს ამ ინიციატივას გამოეხმაურა რამდენიმე ბიზნესმენი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ პროექტში.

**- დაფიქსირდა თუ არა რაიმე სახის დარღვევები ბერლინის საარჩევნო უბანში? მიეცა თუ არა ყველა ჩასულს საშუალება/უფლება მიელო არჩევნებში მონაწილეობა?**

**ივანე:** რამდენადაც ჩემთვის ცნობილია არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე არ დაფიქსირებულა უშუალოდ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული დარღვევები. მიუხედავად ამისა, საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე დაიწერა რეკორდული რაოდენობის საჩივარი, რომლებიც ძირითადად ეხებოდა საარჩევნო სიებს. ძალიან ბევრმა საქართველოს მოქალაქემ მიუხედავად იმისა, რომ ფიქრობდნენ, რომ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება, ბერლინში საარჩევნო უბანზე მისვლისას ვერ აღმოაჩინეს საკუთარი თავი საარჩევნო სიაში. ჩვენი ორგანიზაცია მთელი დღის განმავლობაში გარედან აკვირდებოდა არჩევნების მიმდინარეობას და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრმა ასეთმა ადამიანმა გაბრაზებულმა დატოვა საელჩოს შენობა.

ასევე ბევრმა მოქალაქემ გამოხატა უკმაყოფილება არჩევნების მიმდინარეობისას ელემენტარული პირობების უქონლობის გამო, როგორცაა, მაგალითად, შენობაში საპირფარეოს არარსებობა თუ სხვა.

**- თქვენი აზრით უნდა მოეთხოვოს ხელისუფლებას პასუხები ამ დიად დარჩენილ კითხვებზე?**

**ზურაბ:** სამართლიანი და აუცილებელიც არის ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხების მოთხოვნა. ამასთანავე მნიშვნელოვანია არჩეულმა ხელისუფლებამ გაითვალისწინოს აღნიშნული დარღვევები, რათა სამომავლოდ აღარ დავდგეთ მსგავსი პრობლემების წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად გამარტივდეს ემიგრანტებისთვის საკონსულო აღრიცხვა და შეიქმნას საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების საინფორმაციო ბაზა, რათა მომავალში მაქსიმალურად ყველა ამომრჩეველს მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება და საშუალება.

ესაუბრა  
ნინო საბელაშვილი

\*\*\*

**წერილი რედაქციას**



ჩემი 44 წლის ცხოვრების მანძილზე 2 ჯერ მივიღე არჩევნებში მონაწილეობა! პირველად ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო და მეორედ ამჟამინდელ საპარლამენტო არჩევნებში. ჩემი პოლიტიკით დაინტერესება და არჩევნებში მონაწილეობის სურვილი აღძრა იმ პროტესტის გრძობამ, რომელიც ჩემში ბიძინა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევამ გამოიწვია. ამ მოვლენის შემდეგ აქტიურად ვადევნებდი თვალს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და როცა გაუღერდა, რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად აუცილებლობას წარმოადგენდა საკონსულო რეგისტრაცია, თავი ავტომატურად ამომრჩეველთა რიცხვში მოვიახრე, ვინაიდან 2006 წელს განვაახლე საქართველოს მოქალაქის პასპორტი და, შესაბამისად, გავიარე საკონსულო აღრიცხვა ბერლინში,

რაც პასპორტში არსებული ბეჭდით დასტურდება. ყოველგვარი ალბათობის გამოსარიცხად დაუუკავშირდი ნინო ჩხიკვაძეს, რომელიც მიუნხენში საკონსულო რეგისტრაციას მესვეურებდა. მან დამიდასტურა, რომ თუ ვიყავი უკვე საკონსულო აღრიცხვაზე საარჩევნო სიებშიც აუცილებლად ვიქნებოდი, რაც 2012 წლის მაისში ცესკოს მონაცემებით გამოქვეყნებული სიებითაც დადასტურდა. სიაში იყვნენ ასევე ჩემი დებიც - მელა რიტი და მაია პაიკიძე-კრისტენსენი, რომელთაც ასევე 2006 წელს გავლილი აქვთ საკონსულო აღრიცხვა საქართველოს საელჩოში ქალაქ ბერლინში.

ჩემში დიდი გაოცება გამოიწვია იმან, რომ სექტემბრის შუა რიცხვებში ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ ამომრჩეველთა სიაში ვერც ჩემი და ვერც ჩემი დების გვარ-სახელები ვერ აღმოვაჩინე. სასწრაფოდ დაუუკავშირდი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და მრავალი სატელეფონო საუბრის და კამათის შემდეგ დამაკავშირეს ვინმე თამარ ხვადაგიანთან, რომელმაც ჩვენი სიიდან ამოღება იმით გაამართლა, რომ თურმე უნდა გაგვევლო წინასაარჩევნო რეგისტრაცია, ვინაიდან 2006 წლის საკონსულო აღრიცხვა ვადაგასული იყო, უნდა მიგვემართა საკონსულოსთვის და ხელახლა გაგვევლო საკონსულო რეგისტრაცია. ეს ინფორმაცია მათ 14 სექტემბერს მომაწოდეს, რეგისტრაციის გავლის ვადა კი 15 სექტემბერს იწურებოდა, თან მისივე თქმით, რეგისტრაციისთვის საჭიროა იყო ბერლინში პირადად ჩასვლა ან ნოტარიალურად დამტკიცებული საბუთების გადაგზავნა. მას შემდეგ, რაც მრავალჯერადი მცდელობა საკონსულოსთან ტელეფონით დაკავშირებისა უშედეგოდ დამთავრდა, მათთან გავაგზავნე იმეილი, რომელშიც აღშფოთებას გამოვთქვამდი ჩემი და ჩემი დების ამომრჩეველთა სიიდან უსაფუძვლოდ ამოღების თაობაზე და ვწერდი, რომ თუ არ დაკმაყოფილდებოდა ჩვენი სიაში აღდგენის მოთხოვნა, საჩივრით ეუთოს მივმართავდი. ხუთ წუთში მივიღე საპასუხო იმეილი, რომელშიც ეწერა, რომ მე ამომრჩეველთა სიაში ვიყავი და მთხოვნენ გადასამოწმებლად მათთვის გამეგზავნა ჩემი დების პირადი ნომრები, რაც დაუუწყონებლივ გააკეთე. ამის შემდეგ მიუხედავად ჩემი თხოვნისა, რომ დამაკავშირებოდნენ არავითარი ინფორმაცია არ მიმიღია საკონსულოდან. ცესკოს სიაში ისევ არ ფიქსირდებოდა ჩვენი მონაცემები.

ივანე აბიათარის, სალომე ზულორდავას და ნინო ჩხიკვაძის ძალისხმევით შეიქმნა 32 კაციანი დამატებითი სია, რომელიც ცესკოს დასამტკიცებლად გადაგზავნა. 28 სექტემბერს ამდენი ბრძოლის და ძალისხმევის შედეგად აღგვიდგინეს ხმის მიცემის უფლება.

აღმამფოთებელია, რომ ქვეყანაში, რომელსაც დემოკრატიულობაზე აქვს პრეტენზია, ასე გიხდება აღამიანს კანონით მონიჭებული უმარტივესი უფლებისათვის – არჩევნებში მონაწილეობისათვის ბრძოლა.

ლელა ეჯერი

## ზაქარია შავაგულაშვილი, იტალია, მილანი

იტალიაში მხოლოდ ერთი საარჩევნო უბანი იყო გახსნილი, რომში საქართველოს საელჩოში. სამწუხაროდ, ზუსტი მონაცემები არ გვაქვს ამომრჩეველთა რაოდენობაზე, დაახლოებით 50-დან 60 ათასამდე ემიგრანტია იტალიაში.

საარჩევნო სიებთან დაკავშირებით, როგორც ყველგან, იტალიაშიც სერიოზული პრობლემები შეიქმნა. იყო, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც ამომრჩეველი 2004 წლიდან იმყოფებოდა საკონსულო აღრიცხვაზე, პასპორტში ჰქონდა აღრიცხვის დამადასტურებელი საელჩოს ბეჭედი, კონსულის მიერ ცსკ-სთვის გადაგზავნილ სიაშიც იმყოფებოდა, მაგრამ არ აღმოჩნდა საარჩევნო სიაში. შეტანილი განცხადებებიდან



აგრეთვე არ იყო ამომრჩეველი სიებში. ეს გაკეთდა იმიტომ, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა სცდებოდა ერთ საარჩევნო უბანზე საარჩევნო კოდექსით დადგენილ ნორმას და საჭირო ხდებოდა დამატებითი უბნის გახსნა.

თვითონ საარჩევნო უბანზე დარღვევები არ დაფიქსირებულა. ვინც სიაში იყო და მოვიდა ყველამ შესძლო ხმის მიცემა. თუმცა ძალიან ბევრი იყო მოსული, ვინც სიაში არ აღმოჩნდა.

ძალიან ბევრი ემიგრანტი დარჩა საარჩევნო ხმის უფლების გარეშე არჩევნების წინ მიღებული ახალი წესების გამო. ამასთან დაკავშირებით აქციები ჩატარდა იტალიის სხვადასხვა ქალაქებში, კერძოდ: რომი, ფლორენცია, ბარი, მილანი, სალერნო, ნეაპოლი, რეჯო კალაბრია, ეპპოლი.

## გიორგი სიგუა, აზუ, ნიუ-იორკი



ნიუ იორკში ერთი საარჩევნო უბანი იყო გახსნილი, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 3.387 ადამიანს. საარჩევნო სიებთან დაკავშირებით აქაც პრობლემები იყო: არჩევნების დღეს აღმოჩნდა, რომ კედელზე გამოკრული და რეგისტრატორის მაგიდაზე დადებული სიები ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

საარჩევნო უბანზე სერიოზული დარღვევები არ დაფიქსირებულა, თუმცა ბევრი მოქალაქე, რომელიც სიაში არ აღმოჩნდა უკან გააბრუნეს.

ქვეყანაში არალეგალურად მყოფებს, ნიუ იორკში პრობლემა არ შექმნიათ მხოლოდ იმის გამო, რომ „არალეგალები“ იყვნენ. საკონსულო უარს არ ამბობდა მათ რეგისტრაციაზე, ვისაც თუნდაც საბანკო ამონაბეჭდი გააჩნდა, რომელზეც მისამართი იყო მითითებული. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანებს ეუბნებოდნენ ხართ აღრიცხვაზე, არადა შემდეგ აღმოჩნდებოდა რომ არ იყვნენ.

სხვა შტატებიდან ერთადერთი უბანი იყო ვაშინგტონში, სადაც 100 ამომრჩეველი მივიდა.

**გიორგი ხოსაძე, საფრანგეთი, პარიზი**

საფრანგეთში მხოლოდ ერთი საარჩევნო უბანი იყო გახსნილი (საქართველოს საელჩოში საფრანგეთში). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქალაქეებმა შეაგროვეს ხელმოწერები დამატებითი საარჩევნო უბნის გახსნის მოთხოვნით, რის საშუალებასაც ქართული კანონმდებლობა იძლევა. საკმარისი რაოდენობის ხელმოწერები შეგროვდა საფრანგეთის 4 ქალაქში მცხოვრები ქართველების მიერ. საუბარია შემდეგ ქალაქებზე: **Lyon, Rennes, Strasbourg** და **Orléans**. თუმცა მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მეტიც მოქალაქეებს პასუხიც კი არ მიუღიათ მათ მოთხოვნაზე.



საფრანგეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებიდან ამომრჩეველთა სიებში მოხვდა 959 პირი. ბუნებრივია, ეს ციფრი ბევრად ჩამოუვარდება საფრანგეთში მცხოვრები ქართველების საერთო რაოდენობას. ამის ახსნა კი მრავალი მიზეზით შეიძლება. პირველ რიგში, ალბათ, უნდა აღინიშნოს

საკონსულო აღრიცხვის სირთულე, რამაც მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი საქართველოს მოქალაქეებს ამომრჩეველთა სიებში მოხვედრაში. ამას დაემატა საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებული ბრძანება, რომელიც მოქალაქისგან საკონსულოში პირადად გამოცხადებას ითხოვდა საკონსულო აღრიცხვისათვის ანდა ამავე მიზნით, მისი საბუთების მესამე პირის მიერ შეტანას საკონსულოში თუ ამ პირს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა ექნებოდა თან. ასეთ პირობებში პარიზიდან შორს მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი ვერ მოხვდა სიაში. ამას ემატება ისიც, რომ საფრანგეთში მცხოვრები ქართველების მნიშვნელოვან ნაწილს საბუთები არ აქვს წესრიგში, რაც აფერხებს მათ საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებას.

საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს ბევრი მოქალაქე, რომელიც ყოველთვის იღებდა მონაწილეობას არჩევნებში, ვისაც სახლში მისდიოდა საელჩოდან მოსაწვევები სხვა და სხვა კულტურულ ღონისძიებაზე დასასწრებად არ აღმოჩნდა სიაში. საკონსულოში ამბობდნენ, რომ მათ “სიების წმენდა ჩაატარეს, ვინაიდან თვალში მოხვდათ, რომ ბევრი 18 წლამდე ასაკის მოქალაქე იყო იქ შეყვანილი”, თუმცა მხედველობიდან გამორჩათ გარდაცვლილი და საქართველოში გადასვენებული მოქალაქეების სიებში ყოფნა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა არ ყოფილა პარიზის საარჩევნო უბანზე.

ყველა მოსული მოქალაქე, რომელიც სიაში არ იყო საკონსულოდან უკან გააბრუნეს. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ წინა არჩევნებზე საკმარისი იყო პასპორტით ან პირადობის მოწმობით მისვლა ხმის მისაცემად. წელს კი ასეთი რამ არ ყოფილა, რამაც ასევე შეამცირა არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი, შთაბეჭდილება მრჩება თითქოს მიზანიც სწორედ ეს იყო.

საფრანგეთში უსაბუთოდ მყოფი საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი ბევრმა გარემოებამ დატოვა არჩევნების მიღმა. პირველ რიგში, საკონსულო აღრიცხვის სირთულემ, შემდეგ იმ შიშმა რომელიც საზოგადოებაში არსებობდა მთელ წინასაარჩევნო პერიოდში, რაც მოქალაქეების მოსმენასა და მათზე ძალადობაში იღებს სათავეს. ამას დაემატა ელჩის განცხადება, რომ „უსაბუთოები“ არჩევნებში ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას. ამ ყველაფრის ფონზე ბევრი შიშობდა, რომ საელჩოში მათი მისვლა „დეპორტის“ ტოლფასი იქნებოდა. თითქმის ყოველ კვირას ეწყობოდა აქციები, თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი ამ აქციებს არ მოჰყოლია.



## Wenn Träume wahr werden... beginnt die Arbeit erst!

*Der Wahlausgang in Georgien ist eine Sensation. Zum ersten Mal in der Geschichte der Kaukasusrepublik kam es zu einem Regierungswechsel, nicht durch Revolution, sondern durch reguläre und größtenteils friedliche Wahlen. Dies ist trotz aller bestehenden Vorbehalte ein erstes Reifezeugnis für Georgien wie auch für seine politische Führung und setzt ein hoffnungsvolles Zeichen für die demokratische Konsolidierung und politische Entwicklung des Landes. Georgien-Expertin Yasemin Pamuk berichtet über den Ablauf der Wahlen und die Herausforderungen, vor denen die Wahlgewinner nun stehen.*

Das Interesse an den Wahlen in Georgien war enorm. In Europa und den USA wurde die Durchführung von fairen und freien Wahlen zum Lackmustest für die Situation der georgischen Demokratie erklärt. Unsicherheit herrschte vor allem über die Frage, ob der Verlierer der Wahl die Niederlage akzeptieren würde. Viele Beobachter befürchteten, dass es zu Unruhen und Gewaltaktionen ähnlich wie im Spätherbst 2007 und Frühjahr 2011 kommen könnte. Insbesondere aber schürte die georgische Regierung immer wieder die Angst, Russland könne sich die Uneinigkeit und politische Instabilität Georgiens zunutze machen, um seinen Einfluss zu vergrößern. Neun Jahre lang hat die Regierungspartei Vereinte Nationale Bewegung (VNB) das politische Geschehen in Georgien dominiert. In den umstrittenen Parlamentswahlen 2008 errang sie sogar eine mehr als satte Mehrheit von 119 von 150 Sitzen im Parlament, mit der Präsident Saakaschwili in der Lage war, weit reichende Gesetzesinitiativen und Verfassungsänderungen ohne nennenswerten politischen Widerstand durchzusetzen. Das Machtmonopol des Präsidenten und seiner Regierungspartei schien gesetzmäßig, und ohne nennenswerten politischen Herausforderer drohten die Parlamentswahlen 2012 zu einem (fast) formalen Akt zu geraten.

Dies änderte sich im Sommer 2011 mit dem Auftreten des Multimilliardärs Bidsina Iwanischwili, der es sich laut eigener Aussage zum Ziel gesetzt hatte, der „unsäglichen Arroganz“ und dem „zunehmenden Autoritarismus“ des amtierenden Präsidenten Einhalt zu gebieten. Mit dem ‚Georgischen Traum‘ schmiedete Bidsina Iwanischwili gemeinsam mit seinen beiden politischen Partnern, der Republikanischen Partei Georgiens und den Freien Demokraten, ein tatkräftiges Oppositionsbündnis, dem sich bald drei weitere Parteien anschlossen.



Oppositionsführer Bidsina Iwanischwili (li) und David Usupachwili, Vorsitzender der liberalen Republikanischen Partei (Foto: Stefan Filsinger)

Obwohl die Motive des Georgischen Traums und vor allem ihres Vorsitzenden Iwanischwili bei der georgischen Bevölkerung wie auch internationalen Beobachtern zunächst auf großen Argwohn stießen, wurde die Aussicht auf eine Pluralisierung der politischen Landschaft und einen echten politischen Wettbewerb grundsätzlich begrüßt. Allerdings zeichneten Meinungsumfragen ein ungünstiges Bild für den Georgischen Traum. Noch bis wenige Wochen vor dem Stichtag sagten Wahlumfragen einen klaren Vorsprung für die Regierungspartei unter ihrem Vorsitzenden und Staatspräsidenten Mikhail Saakaschwili voraus. Trotz aller Bemühungen Iwanischwilis und seiner Partner schien der politische Wechsel lediglich ein Traum zu bleiben. Auch wurde im Allgemeinen erwartet, dass die Vereinte Nationale Bewegung ihre Dominanz in den Parlamentswahlen mit allen Mitteln verteidigen würde.

Doch dann erschütterten im September 2012 Videoaufnahmen über Folter und Gewalt gegen Häftlinge aus einem Tifliser Bezirksgefängnis die Öffentlichkeit. Empört über die zynischen und

grausamen Bilder von folternden Gefängniswärtern protestierten nicht nur Oppositionelle und Menschenrechtsaktivisten, sondern auch der bis dahin politisch eher indifferente Teil der Bevölkerung. So wurde der Protest weit über das Lager des Oppositionsbündnisses Georgischer Traum hinausgetragen. In die Defensive gedrängt, reagierte derPräsident schnell und entließ seinen Innenminister Bachana Achalaia. Ironie der Geschichte: Präsident Saakaschwili hatte den 31-jährigen Jungpolitiker Achalaia, einen seiner engsten Vertrauten und zu dem Zeitpunkt Verteidigungsminister im Kabinett, erst wenige Wochen zuvor in das mächtige Amt des Innenministers befördert. Trotz der schnellen und professionellen Reaktion der Regierung war der Schaden groß. Für den Endspurt des Wahlkampfes gab der Folterskandal ohne Zweifel den Ausschlag für die Wechselstimmung und Mobilisierung in der Bevölkerung.

Nun ist die Überraschung perfekt: In einer unerwarteten Wende der Ereignisse hat das Koalitionsbündnis „Georgischer Traum“ unter der Führung von Bidsina Iwanischwili die Parlamentswahlen für sich entschieden und das neunjährige Machtmonopol der Vereinten Nationalen Bewegung gebrochen. Laut der vorläufigen Ergebnisse der Zentralen Wahlkommission liegt bei der Parlamentswahl in Georgien das Oppositionsbündnis Georgischer Traum nach Auszählung von über 95% der Wahlzettel mit knapp 55% Prozent der Stimmen klar in Führung. Besonders erfreulich aus liberaler Sicht ist, dass die beiden liberale Parteien im Oppositionsbündnis mit



Präsident Saakaschwili mit seiner Familie

insgesamt 17 Abgeordneten im Parlament vertreten sind, wobei die Republikanische Partei sogar fünf Direktmandate und die Freien Demokraten vier Direktmandate gewinnen konnten.

Trotz dieses klaren Sieges der Opposition liegt der Teufel im Detail und die endgültige Sitzverteilung ist hochgradig umstritten. Demnach beansprucht der Georgische Traum mindestens 93 der 150 Sitze im neuen Parlament. Der Grund dafür sind umstrittene Wahlergebnisse für Direktmandate aus Wahlbezirken, die laut Wahlkommission teilweise knapp von Regierungskandidaten gewonnen wurden. So soll laut Wahlkommission der Vater des flüchtigen Innenministers Achalaia das Direktmandat aus dem Wahlkreis Zugdidi, dem Zentrum der einflussreichen Region Mingrelien, gewonnen haben. Sein Gegner war just der Oppositionspolitiker und Vorsitzende der Freien Demokraten Irakli Alasania. Angesichts der Beliebtheit von Alasania und gerade in Zugdidi besonders zahlreichen Demonstranten im Zuge der Folterskandale, scheint ein solches Ergebnis allerdings fragwürdig. Auch kam es laut neutraler Beobachter in mehreren Wahlkreisen teilweise zu beträchtlichen Unregelmäßigkeiten, und offizielle Wahlprotokolle stimmen nicht mit denen der Wahlbeobachter überein.

Das Oppositionsbündnis hat die Ergebnisse nun angefochten. Allerdings sieht Oppositionsführer Iwanischwili sich seinerseits dem Vorwurf ausgesetzt, Vertreter der regionalen Wahlkommissionen mit Gewaltandrohungen einschüchtern zu wollen. Dabei wird das Urteil der Wahlbeobachter eine zentrale Rolle spielen. Internationale Organisationen wie die EU haben beide Seiten aufgefordert, Ruhe zu bewahren und ihre Differenzen mit den gesetzlich verankerten Rechtsmitteln beizulegen. Dies dürfte angesichts der aufgeheizten Stimmung und der teilweise ambivalenten Gesetzeslage jedoch schwierig sein.

Die Frage der endgültigen Sitzverteilung ist deshalb besonders brisant, weil Verfassungsänderungen erst mit einer Zweidrittelmehrheit von 100 Sitzen möglich sind und der Georgische Traum schon eine Reihe von Gesetzesinitiativen angekündigt hat. Die Vereinte Nationale Bewegung hingegen höhnt bereits, mittels des Vetorechts des Präsidenten würde man

missliebige Gesetzesinitiativen zu verhindern wissen und ohne Zweidrittelmehrheit könne der Georgische Traum Reformen ohnehin nicht durchsetzen. Dies mag bereits ein Vorgeschmack auf die kommende politische Arbeit im Parlament sein.

## Positionen im Wahlkampf

Der Georgische Traum besteht mittlerweile aus sechs Bündnispartnern. Die drei Gründungsmitglieder des Koalitionsbündnisses sind die neu gegründete Partei Georgischer Traum unter der Leitung des Oppositionsführers Bidsina Iwanischwili sowie die beiden liberalen Parteien ‚Republikanische Partei Georgiens‘ unter dem Vorsitz des Juristen und Verfassungsexperten David Usupaschwili sowie ‚Unser Georgien - Freie Demokraten‘ unter dem Vorsitz von Irakli Alasania, des ehemaligen Beraters des Präsidenten Saakaschwili für Konfliktbewältigung und Botschafter Georgiens bei den Vereinten Nationen. Weiterhin schlossen sich dem Bündnis drei kleinere Parteien mit konservativ-populistischer Plattform an: das Nationale Forum, die Konservative Partei sowie die Bewegung „Industrielle retten Georgien.“ Angetreten ist der Georgische Traum mit dem Ziel, das Machtmonopol der Regierungspartei zu brechen und den georgischen Bürgern politische Alternativen zu bieten. Die Themenpalette des Oppositionsbündnisses ist weit und teilweise programmatisch noch nicht ausdifferenziert.

Dabei reicht sie von institutionellen Reformen im Bereich Wahlgesetz, Rechtstaatlichkeit, Bürgerrechte und Schutz von Eigentum, über die Politikfelder Gesundheit, Landwirtschaft und Arbeitsmarktpolitik bis hin zu dem Ziel, die nachbarschaftlichen Beziehungen zu Russland schrittweise normalisieren zu wollen.

Die Vereinte Nationale Bewegung ihrerseits konzentrierte sich in der Kampagne auf ihre lautstark und wiederholt verkündete pro-westliche Ausrichtung mit der Betonung auf unternehmerischer Freiheit und deregulierte Märkte. In der Tat kann Präsident Saakaschwili in dieser Hinsicht auf eine Reihe von achtbaren Reformen verweisen, die eine spürbare materielle Verbesserung der Lebensverhältnisse für die Bevölkerung mit sich brachte. Insbesondere gilt dies für Reformen in den Bereichen staatlicher Deregulierung,

Abbau von Bürokratie, Polizei, Kampf gegen Kleinkorruption, Staatshaushalt, Verbesserung der öffentlichen Sicherheit, Infrastruktur und öffentliche Einrichtungen.

Der Georgische Traum, so der Präsident, drohe nun aber die Reformfolge Georgiens zunichte zu machen. Ihm wird vor allem vorgeworfen, er wolle Georgien in den Orbit russischer Einflussnahme zurück katapultieren und die Reformen im Bereich Deregulierung und Abbau von Bürokratie wieder zurücknehmen, um ein sozialistisches Wohlfahrtstaatsgebilde zu implementieren.

Das Oppositionsbündnis seinerseits begegnete den Reformfolgen der Regierung mit dem Einwand, sie seien mit unverhältnismäßigen und undemokratischen Mitteln durchgedrückt worden. Auch würde die Bevölkerung nur sehr selektiv von den Vorteilen des deregulierten Marktes und unternehmerischen Freiheit profitieren, da es eine beträchtliche Verflechtung zwischen Wirtschaft und Regierung gäbe. Die Betonung liegt dabei auf der Entpolitisierung des Arbeitsmarktes sowie die Einrichtung von fairen und wettbewerbsorientierten Marktinstitutionen. Weit schlimmer als diese Versäumnisse seien aber die massiven Verfehlungen der Regierung in den Bereichen Rechtsstaatlichkeit, Bürgerrechte und Soziales: insbesondere fragwürdige Verhaftung, Übergriffe auf das Privateigentum, Zwangsschließungen von wissenschaftlichen Bildungseinrichtungen, Massenentlassungen, Beschneidung der Medienfreiheit sowie Eingriffe in die Unabhängigkeit der Justiz.

Aus Sicht des Georgischen Traums war die Agenda der Vereinten Nationalen Bewegung bisher durch einen elitären „Messianismus“ mit autoritärem Charakter gekennzeichnet, der den Bedingungen in Georgien nicht gerecht werde und große Teile der Bevölkerung entfremdet habe, vor allem aber ärmere Bevölkerungsschichten in ländlichen Regionen, aber auch religiöskonservative Gruppen und die städtische intellektuelle Elite. Mit einer offiziellen Arbeitslosenrate von 16%, die unabhängigen Experten zufolge eher bei 30% liegt, wurde die soziale Frage zu einem wesentlichen Element in der politischen Auseinandersetzung.

Der Wahlkampf zwischen den beiden Kontrahenten

Saakaschwili und Iwanischwili wurde äußerst konfrontativ geführt und war von persönlichen Angriffen geprägt. Die aufgepeitschte Wahlkampfretorik wie auch die Konzentration auf die beiden Führungsgestalten polarisierte die beiden Lager in einer extremen Weise. So wurden politische Themen auf beiden Seiten eher holzschnittartig und polemisch diskutiert.

### Georgiens Herausforderungen

Unabhängig vom Wahlausgang wird sich die Realität im georgischen Parlament grundsätzlich verändern. Statt einer de facto Einparteienherrschaft stehen sich zwei mehr oder weniger gleich starke Gruppierungen gegenüber, die kooperieren oder aber sich das Leben zur politischen Hölle machen können. Denn trotz des Eingeständnisses ihrer Wahlniederlage befindet sich die Vereinte Nationale Bewegung (VNB) gegenüber dem Georgischen Traum in einer eher komfortablen Position. Da der Ball nun im gegnerischen Lager liegt, kann die VNB zunächst entspannt die ersten politischen Entscheidungen (und Fehler) des Georgischen Traums abwarten. Auch ist die VNB in ihrer Mitgliederstruktur homogener, erfahren in der Regierung und straffer organisiert. Darüber hinaus hat sie eine – wenn auch sehr holzschnittartige – ideologische Plattform, die so etwas wie eine gemeinsame Identität unter den Mitgliedern schafft. Schließlich muss sie mit ihrer voraussichtlichen Sperrminderheit im Parlament und der Vetokarte des Präsidenten radikale Veränderungen vorerst nicht fürchten.

Die Situation des Georgischen Traums ist ungleich schwieriger. Er ist ein Wahlbündnis aus unterschiedlichen Akteuren mit teilweise widersprüchlichen ideologischen Ausrichtungen. Eine konkrete gemeinsame politische Plattform muss noch ausformuliert werden. Zwar haben im Vorfeld der Wahlen hochrangig besetzte Kommissionen u.a. in den Bereichen Wirtschaft, Recht, Konfliktbewältigung, institutionelle Reformen bereits eine gewaltige Vorarbeit geleistet. Die politische Umsetzung dieser Politikkonzepte ist allerdings nicht einfach und wird dem Bündnis noch viel Schweiß und Tränen abverlangen.

Gefährlich ist auch die Versuchung der neuen Regierung, das Pendel in die andere Extremrichtung

ausschlagen zu lassen und Sozialausgaben massiv zu erhöhen. Insbesondere weil sich die Verlierer der bisherigen Regierungspolitik natürlich deutliche Verbesserungen ihrer Lebensbedingungen erhoffen. Eine solche Politik würde allerdings die liberalen Kräfte in der Koalition, die Republikanische Partei wie die Freien Demokraten, erheblich schwächen und Georgiens Glaubwürdigkeit bei internationalen Investoren und Finanzinstitutionen unterminieren.

Das Dilemma der neuen Regierung ist groß. Sie muss die Asymmetrien und Mängel der bisherigen Reformagenda ausgleichen. Dabei ist besonders der Aufbau effizienter Institutionen sowie die Stärkung von rechtsstaatlichen Prinzipien wichtig, mit dem Ziel eine effiziente Wirtschaftsordnung zu konsolidieren und günstige Rahmenbedingungen für einen freien Wettbewerb und Marktzugang für eine breite Schicht der Bevölkerung zu schaffen. Diese anspruchsvolle Aufgabe muss allerdings geleistet werden, ohne dabei die Reformfolge der Vorgängerregierung zu gefährden.

Die Vertreter des Georgischen Traums haben immer wieder betont, dass es ihnen ein besonderes Anliegen ist, das Regierungshandeln für die Bürger transparenter und erwartungssicherer zu machen. Dies setzt voraus, dass die Bürger mehr Freiheit zu autonomen Handeln gegenüber dem Staat erhalten. Aus liberaler Sicht bleibt deshalb zu hoffen, dass sich der Georgische Traum langfristig zum Liberalismus als politischer Philosophie bekennt, der untrennbar verbunden ist mit den Prinzipien Demokratie, Rechtsstaatlichkeit sowie Menschen- und Bürgerrechte, aber auch zum Liberalismus als Prinzip individueller und wirtschaftlicher Freiheit, die dem Einzelnen erlaubt, sein Leben gemäß individueller Prioritäten und Entscheidungen frei von staatlicher Bevormundung zu gestalten. Dabei steht das liberale Credo im Mittelpunkt, dass wirtschaftliche und politische Freiheit miteinander in Zusammenhang stehen und zwei Seiten derselben Medaille bilden.

### Yasemin Pamuk

*Projektleiterin der Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit im Südkaukasus*

[www.freiheit.org](http://www.freiheit.org)

## წერილი ჩვენსთვის

როცა პატარები ვიყავით და გესჯიდნენ, ხშირად გადამეტებული ან უსამართლო გვეჩვენებოდა ეს. უძრავლესობას გაგვივლია გულში, რატომ არიან უფროსი ადამიანები ასეთი გულცივნი, ხან კი სასტიკნიც ჩვენს მიმართ. განა შეცდომებზე წყნარად, სიყვარულით მითითება საკმარისი არ იქნებოდა იმის მისახვედრად, თუ რა შეცდომა დაუშვით ან განა მართლა ასეთ სასჯელს ვიმსახურებდით ჩვენი საქციელის გამო? ნუგეშად გვქონდა იმედი, რომ თავად, როცა გავიზრდებოდით, უკეთესი და სამართლიანი, უფრო მიმტყველებელი და მომთმენნი ვიქნებოდით სხვების მიმართ. და აი, ვინც დღეს უკვე მოწიფულ ასაკს მიაღწია და ამ ცხოვრების ფერხულშია ჩაება, ახსენდება, ალბათ, ის უმწიკვლო, მგრძობიარე



ბავშვობისდროინდელი ფიქრები და დაფიქრდება შეიცვალა თუ არა დამოკიდებულება მოყვასის მიმართ.

კარგი და პატიოსანიო, მეტყვეს ბევრი: ძმასთან ძმური, მტერთან მტრულიო, მაგრამ ძმაო, შენ ქართველი ხარ, ქრისტიანი. შენი ქრისტიანული მსოფლმხედველობა 17 საუკუნის განმავლობაში იწნებოდა, რამდენი თაობის წინაპართა სისხლით იპოხებოდა, კლდესავით მტკიცე საძირკვლით მყარდებოდა და გამუდმებით გეზურჩულებოდა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

მოძმის სიყვარული ზოგადად ადამიანური თვისებაა, ზეციდან ჩამოსულმა ქრისტე ღმერთმა ყველას სიყვარული გვიქადაგა: მეგობრისა და მტრისაც! რათა ღვთისა და კაცის უანგარო სიყვარულით ადამიანმა თავის ცხოვრებაში ჯვარი გამოისახოს და ამგვარად უფლისგან დიდი წყალობა - სულის ცხოვნება, უკვდავება მოიპოვოს. ყველას როგორ შევიყვარებთო, შეიძლება ბევრი შემედავოს: რამდენი ნადირალაა, ქურდი, ავაზაკი, კაცის მკვლეელი და კიდევ რა მოსთვლის რამდენნაირი დანაშაულისათვის დასჯილი ზის ციხეში ან თავისუფლად დაიარებაო. მათი ან სიყვარული, ან ახლოს ყოფნის წარმოდგენაც კი ძნელიაო იტყვიან და მართლებიც იქნებიან იმაში, რომ ამ კაცთა საქმენი იმდენად საძაგებელია, რომ მათი ჩამდენიც მათივე საქმეების მსგავსად გვძულს! მაგრამ კეთილი ადამიანო, შენ ხომ ჩვენმა მადლიანმა ღმერთმა განსჯის უნართ დავაჯილდოვა, შენ ხომ

მისი ქმნილებებიდან უმაღლესი ხარ და უკვდავი სული გაგაჩნია სხვა ცოცხალი არსებებისაგან განსხვავებით! დაფიქრდი, რამდენი მიზეზი არსებობს, გარეგანი თუ შინაგანი, ხილული თუ უხილავი ბრძოლა ადამიანის ამ მდგომარეობამდე მისაყვანად, იქნებ რამ უბიძგა შენს მოყვასს ამ უღირს გზაზე, რამ განაპირობა ამ ადამიანის ეგზომ დაცემა. თუ ამით დაინტერესდები, მიხვდები, რომ ხშირად შენი დაცემული მეგობარი შენზე ნაკლები თვისებებით თუ ნიჭით არ ყოფილა დაჯილდოებული ღვთისგან, უბრალოდ შენგან განსხვავებით, როგორც დიდი ილია ამბობდა - ეს ტიალი წუთისოფელი მას შენსავით დედასავით კი არ მოჰყრობია, არამედ ავი დედინაცვალივით მწარედ გამოუზრდია.

მხოლოდ მცირენი უძლებენ მძიმე განსაცდელებს და ღვთის სასოებას მინდობილნი სულის პატიოსნებას ინარჩუნებენ. განკითხვის ნაცვლად, სიბრალულით უნდა აგვევსოს გული და მთელი არსებით მათი გულშემატკივარნი უნდა გავხდეთ! დაეფიქრდეთ, თითოეულ ჩვენთაგანს ხომ ამ წუთისოფელში გამოსაცდელი დრო აქვს ღვთისაგან მინიჭებული სულის უკვდავი მდგომარეობის მოსაპოვებლად. თუ ამ საბრალე ადამიანებმა ვერ მოასწრეს იმის შეგნება, რომ უფლის მცნებების გადახვევას ისინი სავეალლო, დამლუბველ შედეგებამდე მიჰყავს როგორც ამ ქვეყნად, ისე სამუდამო ადგილსამყოფელში, მაშინ ისინი გამოსწორებასაც ვერ შესძლებენ და საუკუნო სატანჯველის მსხვერპლნი შეიქმნებიან. შენ კი,

მოყვასო ჩემო, არ გებრალბებიან ისინი. თუკი ამ ცხოვრებაში ცდილობ ღვთის მცნებების დაცვით იცხოვრო, ქრისტიანული მორალით განვლო შენი გზა, ხოლო არ გესმის სხვისი გულისძახილი, არ ცდილობ მხარში ამოუდგე წაქცეულს, აყოვნებ დახმარების ხელის გაწოდებას მაშინ შენი ამგვარი საქციელით ვეღარც იმ საქორწინე სამოსით შეიმოსები, რომლის გარეშეც ქორწილიდან მხოლოდ მძიმედ დასჯილი განიდევენები.

მაშ რაღას აყოვნებ, ყური დაუგდე შენს ქრისტიანულად აღერებული გულის ძახილს და მისდე მას! ვინც შეძლებს ამ ნაბიჯის გადადგმას, იგი დარწმუნდება, რომ ღვთისა და მოყვასის სიყვარული ჭეშმარიტად უმაღლესია ამ ქვეყნად.

საკითხავია ასევე: მე როგორც კაცს, რა უფლება (ანუ რა ოდენობით) გამაჩნია ადამიანთა დასჯისა მათი ცუდი საქციელების აღსაკვეთად. ხალხის მმართველი ხელისულება ფლობს ციხეებს, სადაც ბრალდებულნი სასჯელის მოსახდელად იმყოფებიან. ესაა ზოგადი ცხოვრების წესი ამ ქვეყანაზე მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად. ანუ, მათთვის დროებითი თავისუფლების აღკვეთით ჩვენ თავს ვიცავთ. მაგრამ დაცვა გეჭირდება არა მარტო ჩვენ, თავისუფლად მცხოვრებით, არამედ მათაც, ვისაც ციხის კედლებს გარეთ გამოსვლა აქვს აკრძალული. მაინც რაში უნდა გამოიხატოს ეს დაცვა პატიმრობისა?

უპირველეს ყოვლისა მათ გამრუდებულ ზნეობას სჭირდება მიშველება. ის, რაც ბავშვობაში ოჯახში გაზრდისას უნდა ჩასახულიყო, სკოლაში სწავლით უნდა გამყარებულიყო, ეკლესიის სწავლებით უნდა დახვეწილიყო და ხალხური სიბრძნით დაეაჟაკებულიყო, არ იქნა ამ ადამიანებში სრულად განვითარებული, მტკიცედ ფეხმოკიდებული. სასჯელი დააფიქრებს ციხის კედლებში გამოკეტილთ, მოინანიებენ უკეთურ საქციელს, მაგრამ ხშირად არაა ამ სინანულის კეთილი ფესვი ღრმა. იქიდან გამოსულთ ისევ ელით იმავე განსაცდელების გადალახვა, რაც ხშირად უკვე ნაცად გზაზე ხელმეორედ გავლით მთავრდება. მათ სულებში დანთებული ჯიბრი აძლიერებს წინააღმდეგობას ადამიანთა ცხოვრების კანონების მიმართ. ასეთ ადამიანებს ერთგვარ ღირსებადაც კი მიაჩნიათ ქურდ-ბიჭობა. მსგავსი ზნემრუდე ადამიანების დასჯა გარდაუვალია, მაგრამ დასჯა ცემით? პირუტყვილი მოპყრობით? გახრწნილი მოქმედებებით? ერთზე ათის მისვლით? უშვერი გინებებით? საშინელი სისასტიკით სიკვდილამდე წამებით? ადამიანო, სადაა შენი ღვთაებრივი ნიჭი განსჯისა? ვინ ხარ შენ, რომ ასეთი პირუტყვობის უფლებას აძლევ შენს თავს, ვინ მოგცა იმის უფლება,

რომ შენს ხელთ ჩავარდნილ შემცდარ ადამიანს მთელი შენი ბოროტული ვნებებით გაუსწორდე? შენ დაბადე იგი? შენ გამოზარდე იგი? შენ მიეცი მას ცხოვრების საგზალი ამ დღემდე? განა არ იცი, რომ შენც ისევე წარსდგები ღმრთის სამსჯავროზე, როგორც შენგან ნაწამები ეს ადამიანი. მაშინ შეიქმნება თვალნათელი, რომ ერთადერთი მსაჯული უფალია, ჩვენ კი ყველანი მისი ქმნილებები ვართ, ერთმანეთზე არც მეტნი და არც ნაკლებნი. და თუ შენ ამ დროებით წუთისოფელში მმართველი ძალებისაგან ბრალდებულთა ზედამხედველობა დაგეკისრა, ეს, სიტყვის პირდაპირი გაგებით, პატიმართა მიმართ ყურადღებას, მათ დაცვას გაავალდებულებს და არამც და არამც მათ წამებას! უგუნურო და სასტიკო ადამიანო, შენი ამგვარი სასჯელით შენ ბევრჯერ უფრო მეტ ცოდვასაც იკიდებ ზურგზე ვიდრე ისინი, რადგან თუ მსჯავრდებულნი აქ, ამ ცხოვრებაში იხდიან სასჯელს და სინანულის ნაყოფის გამოღების შემთხვევაში უფლისგან ცოდვების მიტევების ღირსიც გახდებიან, შენ სასჯელმოუხდელი და შეუნანებელი უფრო მძიმე განსაცდელში შეიძლება აღმოჩნდე (გაიხსენე, რომ სინანულის ნაყოფის გამოღებით პირველი ავაზაკი გახდა საუკუნეებით დანშული სამოთხის გაღებულ კარებში შესვლის ღირსი).

მესამე უმთავრესი საკითხი კი იმაში მდგომარეობს, თუ რითი დავეხმაროთ მსჯავრდებულებს, რომ უკეთესი მომავლის რწმენას ეზიარნონ. ციხეში მოხვედრილნი, ცხადია, ყველა ერთ სულიერ და მორალურ დონეზე არ იმყოფებიან, ზოგს მეტი ცოდვა აწევს მხრებზე, ზოგს ნაკლები, ზოგის სული, სამწუხაროდ, ძალიან გაუხუმებულა და ზოგის ნაკლებად. ის, ვინც თავზე იღებს ბოროტმოქმედთა თავისუფლების აღკვეთას, ვალდებულია კიდევ ეცადოს მათი გამრუდებული ცხოვრების წესის შეცვლას. პატიმრებს ესაჭიროებათ ნორმალური, შესაფერისი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა მათი პატიმრობის მანძილზე და, რაც მთავარია, ზნეობრივი და მორალური მხარდაჭერა. პატიმარი არ უნდა შიმშილობდეს, მას არ უნდა სციოდეს, იგი არ უნდა დარჩეს სამედიცინო დახმარების გარეშე საჭიროების შემთხვევაში, იქაურმა პირობებმა არ უნდა გატეხოს მისი ფიზიკური ჯანმრთელობა. საკვები და სამოსი უნდა იყოს სადა და დამაკმაყოფილებელი. ყოველივე ეს არ უნდა დააწევს მის ოჯახს.

პატიმრების ჩაბმა შეიძლება გარკვეულ სამუშაოებზე შეზღუდული საათების განმავლობაში (სამუშაოს შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას მათი უნარიანობა), რა თქმა უნდა ზედამხედველობის ქვეშ. საფასურის გარკვეული, მცირედი ნაწილი

მაინც უნდა დაგროვდეს მათ სახელზე გახსნილ ანგარიშზე, რისი მოხმარების უფლებაც მიენიჭებათ მათ პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ.

მმართველმა ხელისუფლებამ უნდა ნება დართოს სულიერ მოძღვრებს გზასაცდენილ ადამიანებთან ურთიერთობისა და ხელი შეუწყოს კიდევ ამას. საპატრიარქომ უნდა მიაწოდოს ციხეებს, ალბათ, სპეციალურად მომზადებული, ამ სფეროში ღრმად განათლებული კადრები ზნეობრივად დაცემული ადამიანების სამკურნალოდ. ეს ფრიად სათუთი საქმეა, რადგან პატიმრები ბავშვებზე არა მყარად დგანან ამ ცხოვრებაში და, ამავე დროს, ბავშვებზე მეტად ძნელია მათი სწორ გზაზე გამოყვანა. პატიმრებმა მათი დახმარებით უნდა მიიღონ ის სულიერი ნუგეში, რომელიც მათ თავიანთი შეცდომების მონანიების და გამოსწორების აუცილებლობას დაანახებს და მათ ახალი საიმედო ბურჯის - უფლისადმი რწმენის, სასოების, გულში ლამპრად ანთებული ღოცვის მფლობელებად გახდის. ამ ადამიანებს უნდა გაუჩნდეთ ლტოლვა ამაღლებულისაკენ, ახლის, სრულიად განსხვავებული ღირებულებების ძიებისკენ, რათა ციხიდან გამოსვლის შემდეგ შესწევდეთ უნარი მოძალებულ ვნებებთან გამკლავებისა, წარსულ ჩვეულებებზე უარის თქმისა მაშინ, როცა მათ კვლავ გასაქანი ეძლევათ ბოროტ ჩვეულებათა განმეორებისა. ახსოვდეთ ციხეში შექმნილი სიბრძნე, რომ ღმერთთან სიახლოვეში სუფევს გათავისუფლება ვნებების მარწმუნებისაგან. ისინი იმედით უნდა უყურებდნენ მომავალს და მტკიცე უნდა იყოს მათი კეთილი გადაწყვეტილება.

პატიმარი ბევრია, მოძღვრები კი თითხე ჩამოსათვლელი, თანაც ყველა პატიმარი როდი იღებს მღვდელს სულიერ მოძღვრად. რითი შეიძლება დავეხმაროთ მათ დამატებით? საპატიმროებს უნდა გააჩნდეს თავისი ეკლესია, სადაც მსჯავრდებულნი დაესწრებიან წირვებს, ისწავლიან გალობებს,

მედავითნობას, განმტკიცდებიან ქრისტეს უხრწნელი სისხლისა და ხორცის ზიარებით, ისწავლიან გულის გადაშლას სულიერი მოძღვრის წინაშე. გარდა ამისა, მათ კუთვნილებაში უნდა იყოს ბიბლიოთეკები, სადაც მოიძიება მხოლოდ მაღალ ზნეობრივი ლიტერატურა: ჩვენი ისტორიული და ქრისტიანული ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები, თავდადების, საკუთარ შინაგან ვნებებზე გამარჯვების ცოცხალი მაგალითები, სამშობლოს სიყვარულით ამღვრებული ჩვენი პოეტების უკვდავი პროზა და პოეზია, სულისათვის ყველა ის საჭირო და ლამაზი ლიტერატურული ძეგლები, რაც მათ ცხოვრების მრუდე წესით გახევებულ, დამზრალ გულებს ისე გაათბობს, რომ მასში ჩავარდნილმა კეთილმა თესლმა იხაროს და თავისივე მსგავსი ნაყოფი გამოიღოს!

საკნებში ან საერთო დარბაზში დადგმული ტელევიზორებით პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება საინფორმაციო გადაცემების მოსმენისა (დღეში ერთხელ მაინც), გარკვეულ საათებში ჩართული ტელევიზიით უნდა გადაიცემოდეს სამშობლოს სიყვარულის ამსახველი დოკუმენტური თუ მხატვრული ისტორიული ფილმები, საუბრები ზნეობრივ საკითხებზე, სიძნელეების დაძლევის მაგალითის ამსახველი კადრები და ა. შ.

ყოველივე ეს შეიძლება რთული დასანერგია პრაქტიკაში, მაგრამ არა შეუძლებელი. ბოროტმოქმედების აღკვეთაზე ზრუნვა საჭირო საქმეა და ქრისტიანი ადამიანის ვალდებულებაც. როგორც აღვნიშნე, ამის რეალურად მიღწევა არა მარტო დასჯით, არამედ ეკლესიისა და ხელისუფლების საერთო ღონისძიებებით და საჭირო ზომების გატარებით იქნება შესაძლებელი. ღმერთმა მოგვცეს გულისხმიერება და კეთილგონიერება მათდამი სწორ მიმართებაში.

ია ენუქიძე-ვოლგ

**ჩვენო ქრნალი აბრძოლვს ქრნალისტოა ქსელის გაფართოვებას და ელის ვველა  
ღაინტბამსებულო პირის გათხემაშრებას საზოგადოებრივ სანქსიებზე ქრნალთან  
თანაშრომობის კოხსიო.**

**ღაგვიგავვირდით:**

**qartuli@satvistomo.de**

# ჯამი სიმღერისა და ჯამი დოჯვისა

თემურ წიკლაური: ბრძოლა საჭირო მაშინაც კი, სიკვდილი რომ მოვა, ხმლით უნდა გაეგებო...

იცით, რატომ იხდიან ადამიანები ბოდიშს? ალბათ იმიტომ, რომ რამეს აშავებენ ან რაღაც ეშლებათ, არა? ზოგჯერ კი ამ მიზეზების გარეშეც, მხოლოდ გულახდილობის გამო იხდიან ბოდიშს, რადგან გულახდილი საუბარი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სიტყვათა თანამიმდევრობა. ეს არის ზღვარის წაშლა და სახლის იმ კუნჭულში შეხედვა, სადაც ალბათ არასოდეს შეახედებდით ვინმეს...

თემურ წიკლაურმა სწორედ ამიტომ მოიბოდიშა: - დიდი ბოდიში მკითხველს, რომ ასე გულახდილად გიყვებით ყველაფერს და რომ შეიძლება თავსაც ვახვევ ჩემს ცხოვრებას. ამას ვიტყვი თავშიც და ბოლოშიც...

არ უთქვამს, რა რთულია ილაპარაკო საკუთარ თავზე, თანაც გულახდილად; არ უთქვამს, რომ ამას გამბედაობა და ვაჟკაცობა სჭირდება... ამას ყველა თავად მიხვდება.

წლების წინანდელ ფოტოებს დაჰყურებს. საოცარია, მაგრამ მისი ხმა სიმღერასავით ჟღერს მაშინაც, როცა სულაც არ მღერის და ძალიან სევდიან ამბებს იხსენებს. ეს ბედისწერასავითაა. ვუსმენ, როგორ მიაბობს კოჯრის სკოლაზე, რომელიც წითლების შემოსვლის შემდეგ დაზარალებული ეკლესიის ქვებით აუგათ. მერე როგორ ინგრევა ის სკოლაც, იმიტომ რომ სხვაგვარად შეუძლებელია მოხდეს... როგორ პოულობენ წყაროს უკან გადაყრილ ჩუქურთმიან ქვებს და როგორ მიაქვთ იქ, სადაც მათი ადგილია - დაშლილი ეკლესიის მიწაზე. ქვები დუმან და თავის ჟამს ელიან...

ცხოვრებაშიც არის რაღაც იღუმალი, ისიც თავის ჟამს ელის... წლების წინ, მაგალითად, როცა კოჯრის ტყეში მიდიოდა გიტარაზე მალულად დასაკრავად, სხვას რომ ეთქვა, ალბათ არ დაიჯერებდა, ერთ დღეს სტიქარს თუ ჩაიცვამდა. ვერც იმას დაიჯერებდა, რომ სტიქაროსნობამდე ცნობილი მომღერალი გახდებოდა.

ვინ იცის, რას მოიტანს ჟამი ახალს... ჩვენ იმაზე ვისაუბრეთ, რაც უკვე მოიტანა...  
\* \* \*

- კოჯორში ვცხოვრობდი. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, VII კლასამდე - ხუთებზე. დამპირდნენ, თუ ხუთებზე ისწავლი, ველოსიპედს გიყიდითო. ველოსიპედი კი ჩემი ოცნება იყო. ეტყობა, მეგობრებში დავიტრახაზე კიდევ, ნახეთ, მალე ველოსიპედი მექნება-მეთქი. არადა, მშობლებს ისე გაუჭირდათ, ველოსიპედი კი არა, არაფრის საშუალება აღარ იყო. მეწყინა, პირობა რომ არ ამისრულეს და აღარ ვსწავლობდი... ახლა მეცინება, რომ მახსენდება...

ფიზიკური შრომა თუ გამოიმცდია? როგორ არა! დიდი ბოსტანი გვქონდა, კარტოფილს ვრგავდით. მეთედ



პექტარზე რომ დამაყენებდნენ და ეთონხიდი, უნდა გენახათ. ტყეშიც დავდიოდი შეშაზე... „ტარხანი“ რომ შემოვიდა, ბიჭები მივდიოდით ტყეში, ვკიდებდით თოკებს და იყო ერთი ტყაპატყუპი. დაჟეჟილი ვბრუნდებოდით სახლებში.

ერთი ამბავიც მახსოვს: შინ მარტო დაგვტოვეს 97 წლის პაპასთან. მინდოდა გავფრენილიყავი. ეზოში დიდი წაბლის ხე იდგა. ავიტანე ორი-სამი ქოლგა ამ ხეზე, გავშალე და გადმოვხტი. ესენი დაიკეცა და მე ლობის ეკლიან მავთულზე ჩამოვკვიდე მუცლით. დავიწვე ბლავილი. სანამ პაპამ გაიგონა და მოვიდა... კიდევ კარგი, გაიგონა. ახლაც ამ ნაიარევს რომ დავხედავ ხოლმე, პაპა მახსენდება.

დმერთი მწყალობდა ყოველთვის. აუცილებლად მინდა ვახსენო ხალხი, ვისაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა ჩემს ჩამოყალიბებაში.

ნათელა პატარიძე ამოდიოდა თბილისიდან. სკოლაში სიმღერის გუნდი შექმნა. ისეთი გუნდი დადგა, ოლიმპიადებზე სულ პირველ ადგილზე გავდიოდით. ის მინერგავდა, მონაცემები გაქვს, ხმა გაქვს და მიჰყვებიო...

ბიჭები ამოვიდნენ კოჯორში, გიტარაზე დაკვრას ასწავლიდნენ, მათგან ვისწავლე დაკვრა. მერე ერთად ვიყავით „ციცინათელაშიცა“ და „ივერიაშიც“... პირველად ეს სიმღერა ვისწავლე: „შემოხტი და გამიფრინდი, ჩემო თოლია“. გიტარა არ მქონდა. ჩუქად ვიყიდე. მშობლებს არ უნდოდათ კატეგორიულად: ჯერ გიტარაზე დაკვრას ისწავლის, მერე გალოთდება და რა გვეშველებათო. გიტარას ტყეში ვმალავდი. მივდიოდი და იქ ვმეცადინებოდი.

საკმაოდ ხელმოკლედ ვცხოვრობდით. 1964 წელს უცხო ენების ინსტიტუტში ჩავირიცხე. თბილისში რომ ჩამოვედი, ორი წელი პროფესორ თათარ ზენაიშვილის სახლში ვცხოვრობდი. მან შემეფარა, კოჯორში ისვენებდა და იქიდან მიცნობდა... ბატონი





ოთარი და მისი მეუღლე თავს მეგობრობდნენ, რომ კარგი ადამიანი დავმდგარიყავი... დიდად დამეხმარა პრორექტორი გოგი შიოშვილიც. იქაც გუნდში მოვხვდი. დეკანი ნელი კრავიცივილი მყავდა. ის მეუბნებოდა, წადი, კონსერვატორიაში ჩააბარეო... ვერა და ვერ გადამაწვევტინეს. რატომღაც დიპლომატობა მინდოდა სოფლელ ბიჭს და ამისთვის ენა უნდა მესწავლა.

ოჯახიდან დღეში მანეთს მაძლევდნენ. კვირაში 7 მანეთი მეკუთვნოდა, მეტი არა. თავი უნდა გამეტანა როგორმე. კიდევ ვიმეორებ, მადლობა უფალს, რომ მიცავდა ყოველთვის. მეგობარმა მომაკითხა - არნოლდ ნანობაშვილმა: პლენანოვზე დიდი უნივერსალი იყო. იქ ანსამბლი ჰყავთ და მოდი, ვიმღეროთო. ხელფასს მოგვცემენ 66 მანეთსო. მივედი დირექტორთან, ასლან ხარბედასთან. ფოთში რომ პირველი ფეხბურთელები იყვნენ, იმ პერიოდის ფეხბურთელი იყო. რომ გენახა უწვევრულვაშო ბავშვები, გაგვაფორმა. მე გალანტერეის საწყობში ვიყავი მუშად. ხელფასიც მომცა... ამას სტიპენდიაც ემატებოდა და 100 მანეთი კი გამომიღოდა. ეს ჩემთვის დიდი ფული იყო. უკვე გამიჩნდა შესაძლებლობა, საჩუქრებიც კი მეყიდა გოგონებისთვის. ყოველ დღით მივიღოდი საწყობში, ვენმარებოდი საწყობის გამგეს, ცხრის ნახევარზე ინსტიტუტში გავრბოდი. მერე მივიღოდი რეპეტიციაზე... მერე ისეთ განყოფილებაში გადამიყვანეს, სადაც გეგმა სრულდებოდა. უკვე 100 მანეთი მქონდა ხელფასი.

1967 წელს შეიქმნა ანსამბლი „ციცინათელა“. სოსო ებრალიძე იყო ხელმძღვანელი. დამიძახა. იქ შევხვდი ჩემს მომავალ მეუღლეს, ლილის. სამი კურსი ხომ ხუთოსანი ვიყავი... „ციცინათელასთან“ ერთად გასტროლებზე წავედი და წავედი ხელიდან. უკვე თავის გამოჩენა მომიწია, სიმღერა გახდა მთავარი... ბევრი ივიშიშა ჩემმა დეკანმა, ისწავლე რა, ხომ შეგიძლიაო, - მაგრამ ვერ მიძაბრუნა... დამამთავრებინა მაინც როგორღაც...

საოცარია, მაგრამ სცენაზე გასვლა უსაზღვროდ მიჭირდა ყოველთვის. ახლაც მიჭირს. სიცილით კვდებიან, ვსველდები, ხელებიდან წურწურით მომდის ოფლი, სიტყვები არ მახსოვს, ხმა ხომ არ დავკარგე, - მეშინია. გავალ სცენაზე, ამოვიღებ ხმას და მერე მიდის და მიდის...

არ ვიცი, როგორ აგიხსნათ...

დავკორწინდით. ორივე ვმუშაობდით. ამოვისუნთქე... ახლა რომ ვაკვირდები, რა იყო ეს ამოსუნთქვა? არაფერი. სიყვარულის ფონზე გაჩენილი თვითდაჯერება, რომ არაფერი გვაკლია.

ცხოვრება პრაგმატული გახდა... მაგრამ რაც გამოცდილი მქონდა, არასოდეს დამვიწყებია. ახვედი თუ ჩამოხვედი კიბის საფეხურებზე, მნიშვნელობა არა აქვს. შენ ხომ იცი, რა არის ხელმოკლეობა, განსაცდელი... რა არის, როცა კუჭი „თავისას ითხოვს“ ან ჩასაცმელი არაფერი აქვს კაცს. ამას ყველაფერს ვხვდები, სულ არ მჭირდება, რომ ვინმემ მიამბოს. მე ხომ ეს გზა გავიარე... ეს რომ არ გამეველო, ვაი, რა ძნელი იქნებოდა სულის დაამება!

ჯემალ ბაღაშვილს კოჯრიდან ვიცნობდი. ამოდიოდა, უკრავდა ხოლმე. თითებიდან სისხლი სდიოდა და არ ჩერდებოდა მაინც. ძალოსანი იყო. კრივიც იცოდა. როგორ, თბილისში რომ ჩამოხვალ, ყველაფერი უნდა შეგეძლოსო. დამაწვევებინა ვარჯიში. თბილისში უკვე მაშინ შევხვდით ერთმანეთს, როცა „ციცინათელაში“ ვიყავი. „ივერია“ უნდა შევქმნათ და ერთად ვიქნებით, ჩემთან წამოდიო... გადავწყვიტე, გადავსულიყავი. ღალატი არ ვიცი. მაბატიონ ბიჭებმა, ვინც დავტოვე, მაგრამ პირობები იყო ისეთი, იძულებული გახვდი...

მოვიარე მსოფლიო „ივერიასთან“ ერთად.

ეტაპობრივად ყველა ჯურის ხალხს შევხვედრივარ ქუჩაშიც, ცხოვრებაშიც... ყველანაირი გზა მაქვს გავლილი. პროფესიონალურ სცენაზე გამოსვლა რომ დავიწყე, ხშირად გვიხდებოდა კოლონიებში კონცერტების ჩატარება. შემდეგ მივხვდი, ეს ქრისტიანულია: პატიმარიც უნდა მოინახულო და ავადმყოფიც... ჰოდა, მთელ შავ და ფერად სამყაროს კი ვიცნობდით... სხვათა შორის, კონცერტის მერე პურმარილი იშლებოდა...

მარტო ჩემთვის კი არა, მთელი „ივერიისთვის“ ჩემი შეილის ამქვეყნიდან წასვლა დიდი ტკივილი იყო. მაშინ „არგონავტებს“ ვდგამდით. მე აიეტის როლი მქონდა. ვფიქრობ, ასეთი კარგი მიუზიკლი სხვა არც არის, მაგრამ აღარასოდეს მივბრუნებიავარ.



ძალიან სასიამოვნო მოგონებები მაქვს „ივერიაზე“ „ფიროსმანი“ დავღვით. ჯემაღმა, შენ იცი, ფიროსმანი შენ ხარო... გადავწყვიტე, 21 დღე არ მეჭამა, რომ მივახლოვებული ნიკალას სულის მდგომარეობას, როცა ის შიმშილობდა, როცა ის არავის უნდოდა, მასზე საშინელებას წერდნენ გაზეთში... ავიღე წიგნები ნიკალაზე, ლოცვები და დავიწყე შიმშილი. მივიღიოდი კოჯორში ჩემს წყაროზე, იქიდან მომქონდა წყალი დასალევად. ეს სიჩუმე და მარტოობა შეუდარებელია ჩემს ცხოვრებაში. მერე, როცა 21 დღის მერე პირველად გავედი, ჯემაღმა: აი, ფიროსმანი მოვიდაო.

რამდენ ქვეყანაში ვყოფილვარ. დარჩენა არსად მნდომებია. კა-გე-ბე დაგვყვებოდა. დამით გარეთ არ გვიშვებდნენ. ქართველი თუ მოვიდოდა, გამარჯობა არ უნდა გვეთქვა, სამშობლოს მოღალატეო. გამარჯობასაც ვამბობდით და ქეიფიც მიდიოდა. „კაკებეშნიკიც“ საქეიფოდ მიგვყავდა ხოლმე...

ერთხელ ვენესუელაში ვიყავი ექვს თვეს ტრიო „საუნჯესთან“ ერთად. კონცერტები ხუთიო იგლესიასის მენეჯერმა დაგვიგემა. ვუკრავდით, ვირუჯებოდით და ვიყავით, მაგრამ ვაი ამ ყოფნას! გასკდა თავი, გული! სახლში მინდოდა ჩამოსვლა. მაშინ შემომთავაზეს დარჩენა, მსოფლიო სახელი გექნებაო... არაფრით არ ვქენი. მხოლოდ ერთი წელიწადიო. არ შემიძლია-მეთქი... ვერ დავრჩი.

როცა ჩემი თავი ესტრადაზე ვეღარ ვიპოვე, ოპერას მივმართე. „აიდაში“ ამონასროს პარტია უკვე მზად მქონდა, „ტრაავიატა“ დამუშავების პროცესში იყო... ამონასრო უნდა მეძღვრა, მაგრამ აიროია ყველაფერი. როცა საქართველო კარგ ხასიათზე იქნება, მაშინ ვიძღვრებ. ამით იმისი თქმა მინდა, რომ წლებს არა აქვს მნიშვნელობა. სული და გული არ უნდა დაბერდეს.

ორი წლის წინ დავობლდი... 96 წლის დედა გარდაემცვალა. ის იყო ჩემი იმედიც, ძალაც, სიმშვიდეც... მინდოდა, დედაჩემი და მისი დედამამშვილები ერთად შემეყარა და ყველასთვის მომეგლო. ჭადარა შვილი რომ მივიდოდი და მეტყოდა, მოგიკვდეს დედა, როგორ დაიღალეო... ამას ვერაფერი შეცვლის.

უკან რომ ვიხედები, ყველაზე მეტად იცი, რა მიხარია? იერუსალიმში შევიძინეთ 0,6 ჰექტარი მიწა. სოსო ხარებოვის დახმარებით ვიყიდეთ. ეს მიწა საპატრიარქოს გადაეცემა. ახლა იერუსალიმში ქართულ ეკლესიას თავისი ღამის გასათევი აქვს.

სოსო ხარებოვის დახმარებით გაიხსნა „სოსლენდი“, სადაც 1500 ბავშვს ვასწავლეთ და მათგან ორასს უკვე სამსახური აქვს, ხომ ბედნიერებაა?..

ჩემთვის უზარმაზარი გზა გავიარე თავისი აღმართებითა და დაღმართებით. ახალგაზრდა ვიყავი და დროს ყურადღებას არ ვაქცევდი... ახლა, როცა დრო აჩქარდა, თუ ჩემი გონი იყვის ჩქარა ამ დროში, მაინც ვერ აღვიქვამ, როგორ გადის დრო. ახალი წელი გაივლის და უცებ მეორე ახალი წელია...

მიმწუხრს მომავალში არ ველოდები, რადგან უკვე განვსახლვრე, მწუხრი რა არის, როცა სიკვდილმა თავისი პირი მაჩვენა. შევიცანი, რომ უნდა გარდავიცვალო. აქ



მოსულს არაფერი მომიტანია და აქედანაც ვერაფერს წავიღებ...

1983 წელს წავიდა ჩემი ბიჭი, გიორგი... მას მერე მისი სულის ძებნა დავიწყე. ვეძებდი ყველგან - დედამიწაზე მოცემულ ყველა ფილოსოფიასა და რელიგიაში. მხოლოდ ასე დამშვიდდებოდა ჩემი სული და გონი. წავიკითხე ყველაფერი: დაოიზმი, ბუდიზმი, მუსლიმანური რელიგიის საფუძვლები. ისევ მართლმადიდებლობასთან მოვედი. მხოლოდ აქ დავმშვიდდი... მივხვდი, უფაღმა ჩემი შვილის წასვლით უფრო დიდი რაღაცისთვის მომამზადა...

ხვალ არ ვიქნები... მერე რა? ყველაფერს ვაკეთებ, რომ დღეს ასე თუ ისე სრულფასოვანი ვიყო, ვაკეთო ის, რაც შემიძლია. ვცდილობ, ვიცხოვრო ფიქრმრავალი და სულიერებით აღსავსე ცხოვრებით.

იყო ჩემს ცხოვრებაში სიჩუმის პერიოდი. სამყარო ჩემია ჩემს წარმოდგენაში. ის რომ ლაპარაკობს, მღერის, ხმაურობს, სიცოცხლის გამოა ყველაფერი... მაშინ მივხვდი, ბრძოლაა საჭირო მაშინაც კი, სიკვდილი რომ მოვა, ჩაბარება არ არის საჭირო, ხმლით უნდა გავეგებო.

რა მენატრება?..

გაზაფხულზე, იების ამოსვლის წინ მიწა რომ გაიბერება, ვერ წარმოიდგენო, რა სუნი დგას ტყეში. ვერა და ვერ მოვახერხე ადრე გაზაფხულზე, რომ ტყეში ვიბოდიელო.

და კიდევ: ჩემს შვილიშვილს - ანდრეას ვზრდი ისე, რომ ჯერ უფალი უყვარდეს, მერე ქვეყანა, მერე ჩვენ... ისიც სტიქაროსანი გახდა ჩემსავით. ლურჯ მონასტერში ვდგავართ ერთად და ვემსახურებით უფალს. ანდრეამ უნდა იცოდეს, თუ არა უფლის სიყვარული, სამშობლოს სიყვარული, ხალხის სიყვარული, - მას არავინ შეიყვარებს. ჩემი გამოცდილება ასეთია.

ყველაზე დიდი ბედნიერებაა, ამბროსი ხელაიას სიტყვების თქმა შეგეძლოს კაცს: „სული ჩემი - დმერთს, გული - საქართველოს, ხორცს კი რაც გინდათ, ის უყავით!“

ლელა ჯიყაშვილი  
ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე განვაგრძობთ იმ ნამდვილი ისტორიების გამოქვეყნებას, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. კრებულში „ომის სხვა სხვა“, შესული ეს ამბები ორი ქართველი და ორი ოსი ჟურნალისტის მიერ ოთხი თვის მანძილზე შეგროვებული. ყველა ისტორია მათი მეზობლების, ნაცნობების, ახლობლების — რეალური ადამიანების რეალური ცხოვრებიდანაა.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ისტორია საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან, მათ ერთი მთავარი მსგავსება აქვთ — ის, რომ ამ ომშიც აღმოჩნდა ადგილი კეთილი საქმეებისთვის, მეგობრობისთვის და ურთიერთდამხმარებისთვის.

## ბეჭდვების მეგობრები

ნუ გეშინია, აქ იმიტომ ვარ, რომ ჩემი ახალგორელები გადავარჩინო.

ვლადიკავკაზში, სოკუროვების ოჯახში გლოვა იყო. ემზარის საქართველოში წასვლის გამო წუხნენ, ვერ გადაფიქრებინეს. „არა, ის არავის მოკლავს, მაგრამ მისი ჩანაფიქრის გამო მოკლავენ,“ — იმეორებდა მამა და გამალებით სცემდა ბოლთას. „ღვთისმშობელო, შენს მიწაზე წამოვიდა ჩემი შვილი, გულში მხოლოდ სიკეთე უდევს, შეისმინე ჩემი ვედრება და შენი კალთა გადაფარე.“ — კვნესოდა ღვთისმშობლის ხატის წინ დამხობილი დედა.

ელა ფანჯარასთან უხმოდ იჯდა და საქართველოზე ფიქრობდა. აი, უკვე რვა წელია, ემზარის ცოლია და ვლადიკავკაზში ცხოვრობს. ბოლო სამი წელია საქართველოში არ ყოფილა. ახსენდებოდა ყველა ქართველი მეგობარი და გული ეკუმშებოდა. რას არ მოიმიზნებდა ხოლმე, რომ მათთან წასვლის და დარჩენის უფლება მიეღო. მშობლები არც უშლიდნენ. მხოლოდ მამა ფრთხილობდა: ქართველი დაგადგამს თვალს, განა ვიწუნებ ვინმეს ეროვნების გამო, მაგრამ ამ არეულ ცხოვრებაში არ ვიცით რა გვიწერია და ჩვენს შორის ისევე რაღე რომ მოხდეს, მაგათთან მოყვრობა შარიაო.

არადა, თვითონ ქართველი გოგო შეერთო ცოლად — მოიტაცა. სასიამორო შეყვარებულებს არ აძლევდა დაქორწინების უფლებას იმავე მიზეზის გამო, რისთვისაც გიორგის ქართველზე დის გათხოვება არ სურდა. ვერც ამტყუნებდა სასიძო, მაგრამ შეყვარებულსაც ვერ ელეოდა და ერთ დღეს გოგოსგანაც დასტური რომ მიიღო, ვლადიკავკაზში, დის ოჯახში გაიპარნენ...

ელას ომის დაწყების გამო თავზარი დაეცა. სანამ თავისი ოჯახის ამბავს გაიგებდა, ძალიან ნერვიულობდა. დაიბნა, გიორგიმ რომ დაურეკა და უთხრა: „თბილისში ვარ, ცხინვალთან სხვა გასაქცევი ვერ ვნახე, მშობლებიც აქვე წამოვიყვანე, თოფს ვერ ავიღებდი ხელში და ვის გვერდითაც გავზრდილვარ, იმას ვერ ვესროდი.“ ქალი ოჯახის გამო კი დამშვიდდა, მაგრამ თამარაშენის მიწასთან გასწორების ამბავმა გაანერვიულა, ნეტავ, როგორ არიან ჩემი მეგობრებიო, წუხდა. კინაღამ დამუნჯდა, ქმარმა ახალგორში წასვლის გადაწყვეტილება რომ გაანდო. ემზარი 10 აგვისტოს გამთენიისას უნდა გაჰყოლოდა

მოხალისეებს.

— ქართველი უნდა მოკლა? ან ქართველმა უნდა მოგკლას? ამას მირჩევნია ძალღვივით დაგაბა და სანამ ყველაფერი არ დაწვანდება, გარეთ ფეხი არ გაგადგმევინო, — ყვიროდა მამა.

— მამა, ჩემიანების, ჩემი სიყრმის მეგობრების დასაცავად მივდივარ. ახლა იქ უამრავი მარადიური დაეხეტება, ათამდე ბიჭი შევიყარეთ ისეთი, ვინც შეეცდება უდანაშაულო ხალხის დაცვას, თუნდაც მოშკან, ბედნიერი ვიქნები ერთი კაციც რომ გადავარჩინო, ამიტომაც ვთქვი და შევასრულებ...

გოჩა პატაშური ახალგორში დარაჯად მუშაობდა. გამუდმებით ფიქრობდა, ნუთუ ომი ჩვენც შეგვცხება, ნუთუ ჩვენთანაც შემოვა რუსული ჯარი?

იმ საღამოს არ წვიმდა, მძიმე ღრუბელი ჩამოწვა. გოჩა სამსახურიდან გამოვიდა, ფიქრებში ჩაფლული ნელა გაუყვა გზას. მარტო რომ ვიყო, ჯანდაბას ჩემი თავი, რა ვუყო ოჯახს, ბავშვებს? — ეკითხებოდა თავის თავს და ცოლის დაფეთებული თვალები ახსენდებოდა. დილით ცრემლიანი მოეხვია კისერზე. იმ წამს გოჩას გულში გაუელვა, იქნებ დღეს უკანასკნელად მეხვევა ჩემი ცოლი, იქნებ სახლში ვეღარ დავბრუნდე, ან...

თავი გააქნია, რომ ავი ფიქრები გაეფანტა და მოულოდნელად გახვედა, მდინარე ქსნის მხრიდან რამდენიმე შეიარაღებული ჯარისკაცი გადმოხტა. გონზე მოსვლა ვერ მოასწრო, რომ მის წინ შეიარაღებული მეომრებით საეხე „ურალის“ ტიპის მანქანა აღმოჩნდა. რამდენიმე წუთში „ბე-ემ-ჰე“-ს ტიპის სამხედრო მანქანაც მოვიდა და ჯარისკაცებით აივსო ქუჩა. შიშმა აიტანა. თითქოს სიკვდილს უყურებდა თვალებში. „ვის უნდა ეს ოხერი ომი? ვის უნდა აძლენი სისხლი, რას გვერჩიან, შეგვეშვიტო, წადით აქედან, თქვე ოხრებო, — ჩურჩულებდა კაცი და დილა ახსენდებოდა, ცოლის ცრემლიანი თვალები... — ვაითუ, მართლაც უკანასკნელად“... — ფიქრობდა გოჩა და გრძნობდა როგორ იბადებოდა თმაში ჭაღარა. ერთ წუთში მთელმა ცხოვრებამ ჩაუარა თვალწინ, ადგილიდან ვერ იძვროდა.

შეიარაღებული ჯგუფიდან თბილი მხერა იგრძნო.

ბრბოს ვიღაც გამოეყო და მისკენ წამოვიდა. იცნო, ეშხარ სოკუროვი — ბაეშეობის მეგობარი, დაახლოებით 10 წლის წინ ჩრდილოეთ ოსეთში, ვლადიკავკაზში გადავიდა საცხოვრებლად. უდიდოდა, მაგრამ სიყრმის მეგობრის გულში ჩახუტება ვერ გაეებდა.

— ეშხარ, არ ისროლო! — ათრთოლებულმა შესძახა გოჩამ.

— გაგიჟდი, ბიჭო? ნუ გეშინია, აქ იმიტომ ვარ, რომ

ჩემი ახალგორელები გადავარჩინო, — შეწუხდა ეშხარი და ვედარ დაიკავა მკლავები...

გოჩა ბედნიერებისგან აკანკალდა, ბაეშეობა გაახსენდა, ქსნის პირას პატარა ბიჭების თითებიდან დაღვრილი სისხლი და ფიც-ვერცხლით შეფიცული ძმობა.

ერთმანეთზე ჩახვეული ძმობილები იმ პატარა ბიჭებს ჰგავდნენ, მაშინ, მდინარის პირას, ლამაზ მომავალზე რომ ოცნებობდნენ...

# შ ი შ თ ე რ ი ა დ ე რ ე ს თ ე ი ც ი ა

## ბევრი სიკეთე მახსოვს მათგან და მტრობასთან ერთად, მოყვრობასაც ვერ დავივიწყებ.

ნარგიზა დევიძე თბილისიდან ნიქოზამდე მიკროავტობუსით მგზავრობის დროს გავიცანი. ერთი ჩვეულებრივი გლეხის ქალია. იმ დღესაც ბაზარში მისი ხელით მოწეული მოსავალი გაეყიდა და შინ, ნიქოზში ბრუნდებოდა.

წეროვანში, დევნილთა დიდი დასახლების გვერდით ჩავლისას ავტობუსის რამდენიმე მგზავრმა ოსების ლანძღვა დაიწყო. ნარგიზა გამოეპასუხა.

— ყველას მისამართით არ უნდა სთქვათ აუგი. განა ყველა ცუდია, განა იმ ხალხს სურდა ომი? ბევრი სიკეთე მახსოვს მათგან და მტრობასთან ერთად, მოყვრობასაც ვერ დავივიწყებ, — ამბობდა იგი.

მანამდე ჩემთვის ჩუმად მყოფმა თავი ნარგიზასკენ მივაბრუნე. გაცხარება სახეზე ეტყებოდა, აწითლებულიყო. თითქოს სიტყვებს ეძებდა, რომ სრულყოფილად გადმოეცა თავისი დამოკიდებულება ოსების მიმართ. ნარგიზა ვაჟა-ფშაველას პოემების გმირებს ჰგავდა, სტუმარმასპინძლობაც რომ იციან და ავ-კარგსაც თითქმის აკვნიდან რომ არჩევენ.

შეუტეეს ოპონენტებმა, აბა მაგათგან რა სიკეთე გახსოვს, სახლი რომ გადაგიწევს და ღია ცის ქვეშ დაგტოვებს, ვე კარგი იყო? გაცხარდა ნარგიზა, განა მაგათ დამბობებს სახლი, რუსული თვითმფრინავებიდან ნასროლი ყუმბარები ასკვებოდა ნიქოზსო და ომამდელი ამბის მოყოლა დაიწყო.

ნარგიზა დევიძე: „ცხინვალში სავაჭროდ დავდიოდი. ერთ დღესაც, მაწანწალა ძაღლმა მიკბინა. ძაღლის ისეც მეშინია და ნაკებნმა სულ ამირია თავგზა. ისე მიკბინა იმ ოხერმა, რომ სისხლის გუბე დაღდა.“

ირგვლივ ხალხი ირეოდა. ჩემი გასისხლიანებული ფეხის დანახვაზე შეიცხადეს, ერთი ქალი ბინაში შევარდა, სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა. დანარჩენები მომვარდნენ, ჭრილობა საპნით მომბანეს და ექიმის მოსვლამდე შემიხვიეს. მალე სასწრაფო დახმარებაც მოვიდა და სამედიცინო პუნქტში წამიყვანეს. ჭრილობა იმდენად დიდი იყო, რომ მინიოპერაცია დამჭირდა. ნაკერები დამადეს. თან მეხუმრებოდნენ, ეს რამხელა

ჭრილობაა, ძაღლმა გიკბინა, თუ ლომმა? სამედიცინო მომსახურების ასანახლაურებელი თანხა არ მქონდა, დილით ვაჭრობა ვერ მოვასწარი და ამიტომაც ექიმს მორიდებით ვკითხე, რამდენი უნდა გადავიხადო-მეთქი? არაფერი, მთავარია შენ იყო კარგადო, მითხრა ღიმილით და მზარზე ხელი მომიტათუნა. შემდეგ აფთიაქარს დაუძახა და ოპერაციის შემდგომ სარეაბილიტაციო წამლების ჩამონათვალი მისცა. დავიბენი. ძლივს ამოვიღულულე, ექიმო, ვაჭრობა ვერ მოვასწარი, ფული არ მაქვს და მაგ წამლებს ახლა ვერ შევიძინებ-მეთქი. გაეღიმა, მერე აფთიაქარს ჩემთვის განკუთვნილი წამლების ჩამონათვალი მიაწოდა და დაახლოებით ათასი რუბლის ღირებულების წამლები ნისიად, აფთიაქში თავის სახელზე ჩააწერინა.

ვიღას ახსოვდა ძაღლის ნაკბენი. გული ისეთი სიყვარულით გამითბო იმ დალოცვილმა, რომ ჩიტოვით ვგრნობდი თავს. იქ აღარ იგრნობოდა, რომ ჩვენ ოდესღაც მტრობა გვქონდა ერთმანეთთან. ეპ, ნეტავ ვერე გაგრძელებულიყო ცხოვრება. ის ექიმი სრულიად უცნობ ადამიანს მენდო. მეტეც, ტაქსი გამომიძახა, ფული გადაუხადა და ასე გამომიტუმრა. ის კაცი, ის დიდებული პიროვნება და ექიმი ვოვა ჯიოვი იყო.

მეორე ჯერზე ექიმის მომსახურების ფულიც გადავიხადე და აფთიაქში ვალიც გავისტუმრე, მაგრამ ვოვა ექიმის და სხვა ცხინვალელი ოსების სიკეთე არასოდეს დამავიწყდება. თუ ადამიანი არ გიყვარს, ასე ვერ მოიქცევი. ამიტომაც გთხოვთ, ყველას ერთნაირად ნუ მოიხსენებთ. დაფიქრდით, ვინც ჩვენ წაგვიკიდა, იმასაც ხომ ეს გათიშულობა და ჩვენი ერთმანეთზე სამუდამო გადაკიდება სურს. როდემდე უნდა ვასხათ მტრის ცეცხლზე ნავთი?“ — ხმამაღლა მოსთქვამდა ნარგიზა და სახეზე ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

— მართალია, ყველა ერთნაირი არ არის, ჭკუა არც ერთს არ გვეყო, რომ ეშმაკს მოვრეოდით, — ჩაილაპარაკეს ქალებმა და გაყუჩდნენ. ნიქოზამდე ასე, ჩუმად ვიმგზავრეთ. არადა, იმ სიჩუმეში იმხელა ტკივილი იყო...

**ISARIA Reisen**



**Lufthansa  
City Center**

## **SONDERPREISE MIT LUFTHANSA NACH TIFLIS!**

Ab allen deutschen Flughäfen exklusiv für den Georgischen Verein in Deutschland e.V.  
und deren Freunde!

Die Ersparnis beträgt im Vergleich zum offiziellen Tarif bis zu 250 Euro pro Person.

Buchbar sind diese Tarife nur bei:

**ISARIA Reisen Lufthansa City Center  
im Haus des Honorarkonsulats von Georgien**

**Lenbachplatz 1  
80333 München**

**Tel.: 089 55 25 50 70**

**Mail: [urlaubsbuchung@isaria-online.de](mailto:urlaubsbuchung@isaria-online.de)**

Dem **ISARIA Reisen Lufthansa City Center** im Hause des Georgischen Honorarkonsulats am Lenbachplatz 1 in München ist es gelungen, für die Mitglieder des Georgischen Vereins in Deutschland e.V. Sondertarife mit der Deutschen Lufthansa AG anzubieten.


Lufthansa fliegt täglich von München in knapp 4 Stunden abends um 21.25 Uhr nonstop nach Tiflis. Sie können Zubringerflüge von Lufthansa von anderen deutschen Flughäfen zu buchen und den Flug nach Tiflis bequem erreichen. Lufthansa verlässt Tiflis um 04.00 Uhr morgens und kommt um 05.55 Uhr in München an und dann entsprechende Weiterflüge zu Ihrem Zielflughafen in Deutschland.

Bei diesen speziellen Tarifen ist es erlaubt, pro Erwachsenem und pro Kind ab 2 Jahren zwei Gepäckstücke mit je 23 kg mitzunehmen! Die Ersparnis zu den offiziellen Tarifen beträgt bis zu 250 Euro. Diese Sondertarife sind nicht online buchbar! Alle anderen Flüge und Reiseangebote können Sie bequem online unter [www.isaria-online.de](http://www.isaria-online.de) buchen.

**ISARIA Reisen Lufthansa City Center** finden Sie im Haus des Georgischen Honorarkonsulats am Lenbachplatz 1 in München (nähe Stachus). Öffentlich erreichen Sie **ISARIA Reisen** mit allen S-Bahnen sowie mit der U4 und der U5 – Haltestelle Stachus/Karlsplatz – Ausgang Lenbachplatz.

Die Mitarbeiter von ISARIA Reisen sind Montag bis Freitag von 9.30 bis 18.30 Uhr und Samstag von 10 bis 14 Uhr für Sie da!

Telefon: 089 55 25 50 70      Mail: [urlaubsbuchung@isaria-online.de](mailto:urlaubsbuchung@isaria-online.de).



**თანაზულად:**

1. ტუვილი, მოლანდება
3. ირეში, თხა და...
5. რამდენი ნადირი მოკლა როსტვეანმა
8. როსტვეანის ვეზირი
9. მიჯნური არაბულად
10. რაინდი
13. სწრაფად
14. რაღა იგი ხინათლქ, რასადა ასლაეს...
16. ჯამბაზი
17. მიჯნურობას ვინ მიხვდება
18. კარგი ცხენი

**შეუვლად:**

1. წაგებულს რამდენი დღე უნდა ევლო თანამშრომელი
2. იშვიათი
4. მარგალიტის თვალი
6. რამდენი მონა გაიფლავა როსტვეანმა ისრის მამონთმეფად
7. შვირყასი ნივთები, ქსოვილები
8. რა ეწოდება სოფელ ტარეჯის ცრემლს
11. რა ფერი იყო ტარეჯის ცხენი
12. სამოთხის ბაღი
14. თოვლნარევი ქარი
15. რამდენი ნადირი მოკლა ავთანდილმა

**გერმანიის ქართული სათვისტომოს ჟურნალი**  
**გამოიცემს 2005 წლის ოქტომბრიდან**

*Zeitschrift des Georgischen Vereins in Deutschland e.V.*  
*Herausgegeben seit Oktober 2005*

**დაფუძნებელი-გამომცემელი:**

ბახმანიის ქართული სათვისტომო  
 სათვისტომოს თავმჯდომარე: დანი დათაშვილი

**საქადაგოლო ჯორჯია:**

ნინო ხაბელაშვილი (მთ. რედაქტორი)  
 თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)  
 ნინო დალაქიშვილი  
 ნინო ცხომელიძე-დეაბერშმიდტი  
 ეკატერინე ცირიკაშვილი

**გერმანიის ქართული**

Georgischer Verein in  
 Deutschland e.V.  
 c/o Leri Datashvili  
 Roemerhofweg 51c  
 85748 Garching b. MŠnchen

დაგვიკავშირდით:  
 ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de